პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б)
ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 29-ე წელი

ხუთშაბათი, 28 ოქტომბერი, 1948 წ. № 215 (8259). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

წარმოების საშუალო მეთაური—მოწინავე (1-ლი გვერდი).

პატაკი ამხანაგ ი. ბ. სტალინს მოლდავეთის სს რესპუბლიკის მიერ პურის დამზადების სახელმწიფო გეგმის შესრულების შესახებ (1-ლი გვერდი).

ბრძანებულებანი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).

ვალდებულების შესრულება გურჯაანისა და ჩოხატაურის რაიონების მიერ სახელმწიფოსათვის ყურძნის ჩაბარებისა და თამბაქოს შეტეხის შესახებ (1-ლი გვერდი).

საქართველოს ახალგაზრდობა ახალ-ახალი გამარჯვებით ხვდება ლენინურ-სტალინური კომკავშირის 30 წლისთავს (მე-2 გვერდი).

ბრძოლაშიც, შრომაშიც მოწინავეთა რიგებში (მე-3 გვერდი).

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ამბები — დეპეშები (მე-4 გვერდი).

წარმოების საშუალო მეთაური

წარმოების საშუალო მეთაურის — საამქროს უფროსის უნარიან ხელმძღვანელობაზე ბევრად არის დამოკიდებული ფაბრიკა-ქარხნებში გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის წარმატება, წარმოების განუხრელი ზრდა, მთელი საწარმოს ეკონომიური მაჩვენებლების გაუმჯობესება. საამქროს უფროსი, დირექტორის შემდეგ, მთავარი ფიგურაა საწარმოში, მას ფრიად მნიშვნელოვანი და პასუხსაგები მოვალეობა აქვს დაკისრებული. წარმოების საშუალო მეთაური სათავეში უნდა ედგეს საამქროში სოციალისტური შეჯიბრების გაშლას, სისტემატურად ზრუნავდეს წარმოებაში მოწინავე, მაღალნაყოფიერი ტექნოლოგიის დანერგვის, კადრების აღზრდის, მათი კვალიფიკაციის ამაღლებისა და მტკიცე დისციპლინის განმტკიცებისათვის, საამქროს მთელი კოლექტივის შეუფერხებელი მუშაობისათვის.

განსაკუთრებით დიდია წარმოების საშუალო მეთაურის — საამქროს უფროსის როლი ომისშემდგომ სტალინურ ხუთწლედში, როდესაც სოციალისტური მრეწველობის საწარმოთა კოლექტივები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად ლენინ-სტალინის პარტიის ხელმძღვანელობით თავდადებით შრომობენ ახალი ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულებისათვის, ჩვენი სამშობლოს ეკონომიური და სამხედრო ძლიერების შემდგომი განმტკიცებისათვის.

საბჭოთა წყობილება, წარმოების სოციალისტური სისტემა საწარმოს თვითეული მეთაურის, მათ შორის საამქროს უფროსის წინაშე ფართო სარბიელს ქმნის შემოქმედებითი მოღვაწეობისათვის, ინიციატივის გამოჩენისათვის. საამქროს უფროსი ვალდებულია ამ შემოქმედებითი თაოსნობის მაგალითს აძლევდეს მთელ კოლექტივს. იგი მოვალეა დაუყოვნებლივ გამოეხმაუროს და მთელ საამქროში გაავრცელოს სტახანოველთა, ოსტატთა და ტექნოლოგთა ყოველგვარი სასარგებლო წამოწყება და მუშაობის ახალი, უფრო ნაყოფიერი მეთოდები.

საქართველოს სს რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოებში მრავალია გამოცდილი, უნარიანი, თავის სპეციალობას კარგად დაუფლებული წარმოების საშუალო მეთაური — საამქროთა უფროსები. მათი უმრავლესობა საბჭოთა სკოლაში აღიზარდა, სოციალისტურ წარმოებაში მიიღო წრთობა, აიმაღლა კვალიფიკაცია, ღრმად დაეუფლა წარმოების ტექნოლოგიას. ესენი, წარმოების ეს საშუალო მეთაურები, მრავალ საწარმოში უნარიანად ხელმძღვანელობენ მინდობილ საქმეს, ამაღლებენ წარმოების დონეს, უზრუნველჰყოფენ საწარმოო გეგმების ვადამდე და გადაჭარბებით შესრულებას, იბრძვიან რენტაბელობისათვის, ზეგეგმითი დაგროვების გადიდებისა და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

თბილისის სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის საელმავლო საამქრო, რომელსაც ინჟინერი ა. მასხარაშვილი ხელმძღვანელობს, ამ ქარხნის მრავალრიცხოვან საამქროთა შორის ყველაზე მოწინავეა. მისი კოლექტივი ამთავრებს წლიური გეგმის შესრულებას. საამქრომ წელს 9 თვეში 300 ათას მანეთამდე მოგება მისცა ქარხანას.

ამ საამქროში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოწინავე ტექნოლოგიის დანერგვას, წარმოების რაციონალიზაციას. წელს აქ თხუთმეტამდე რაციონალიზატორული ღონისძიება განახორციელეს. მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია სტახანოველი ზეინკლის ვ. ბექუაშვილის, ოსტატ ა. გონგაძის, ინჟინერ ა. ცომაიას, საამქროს უფროსის ა. მასხარაშვილისა და მისი მოადგილის ვ. მაისურაძის რაციონალიზატორული წინადადებანი. საამქროს უფროსმა ა. მასხარაშვილმა და ვ. მაისურაძემ შესცვალეს ელმავლის წევის ძრავის შეკეთების ტექნოლოგია. წინათ ელმავლის წევის ძრავის საშუალო შეკეთების დროს ღუზებიდან ხსნიდნენ არტახებს, რასაც დიდი დრო სჭირდებოდა, ძვირფასი მასალა იხარჯებოდა და ხშირად ამ ნიადაგზე ელმავლის ექსპლოატაციის დროს თავს იჩენდა წევის ძრავის დაზიანება. ახალი ტექნოლოგიის გამოყენების შემდეგ შეკეთება ხდება არტახების მოუხსნელად, რის შედეგად შემცირდა შეკეთებისათვის საჭირო დრო, დაიზოგა ძვირფასი მასალა და, რაც მთავარია, მინიმუმამდე შემცირდა შეკეთებული ელმავლის წევის ძრავების დაზიანების შემთხვევები. ამავე საამქროში წელს აითვისეს თბომავლების შეკეთება და გეგმის გადამეტებით შეაკეთეს ოთხი თბომავალი, სამჯერ გაადიდეს ხიდებრამწეს გამტარუნარიანობა, საბჭოთა კავშირში პირველნი დაეუფლნენ „დბ" სერიის თბომავლების დიზელის საფუძვლისა და ბარბაცას საკისრების წარმოებას, მოამზადეს კადრები წარმოების ამ ახალი სახის ტექნოლოგიის დაუფლებისათვის. ყველა ეს ღონისძიება საამქროს უფროსმა განახორციელა საამქროს მთელი კოლექტივის, პირველ რიგში სტახანოველებისა და ინჟინერ-ტექნიკოსების აქტიური დახმარებითა და მხარდაჭერით.

თბილისის სპილენძსაგლინავ ქარხანაში უნარიანი ხელმძღვანელობით განსაკუთრებით გამოირჩევა სადნობსაგლინავი საამქროს უფროსი ინჟინერ-მეტალურგი თ. პატარიძე. მისმა საამქრომ, რომელიც ძირითადია ქარხანაში, ნორმით გათვალისწინებულზე ნაკლები მუშახელით 19 ოქტომბრისათვის, ვადამდე ორი თვითა და თორმეტი დღით ადრე შეასრულა პროდუქციის გამოშვების წლიური გეგმა. ამ წარმატებას საამქრომ მიაღწია სტახანოვური განრიგის მტკიცედ დანერგვით, სამუშაო ადგილის წინასწარ მოწყობით და, რაც მთავარია, სადნობი ღუმელის ნაყოფიერების გადიდებით. წინათ ღუმელის წარმადობა ცვლაში 3,2 ტონას უდრიდა. ამხ. პატარიძემ გადააკეთა ღუმელის ქვედი და მიაღწია ხუთი ტონის ტევადობას, რამაც 35 პროცენტით გაადიდა შრომის ნაყოფიერება, დაიზოგა სათბობი, ელექტროენერგია და ცეცხლგამძლე მასალები. მანვე გააუმჯობესა აგრეთვე საგლინავი ღუმელის დატვირთვის ოპერაცია და მიაღწია დროისა და სათბობის საგრძნობ ეკონომიას, პროდუქციის გამოშვების გადიდებას და მისი ხარისხის გაუმჯობესებას. ფურცლოვანი სპილენძის გასასუფთავებელ გოგირდმჟავიანი ხსნარის აუზში სპილენძის ჩატვირთვა-ამოტვირთვისათვის ელექტროამწეს მოწყობამ, რაც საამქროს უფროსმა ქარხნის დირექტორის წინადადებით განახორციელა, დიდად შეუწყო ხელი ამ შრომატევადი სამუშაოს მექანიზაციას.

საამქროთა კარგი მუშაობის მსგავსი მაგალითები ბევრია. მაგრამ საამქროს ყველა უფროსი ასე როდი მუშაობს, როდი ზრუნავს იმისათვის, რომ უფრო სრულყოფილად დაეუფლოს ახალ ტექნიკას, გააღრმაოს თავისი ცოდნა, ასწავლოს მასებს და ისწავლოს მასებისაგან. საამქროს უფროსი მარტო ტექნიკური ცოდნით როდი უნდა დაკმაყოფილდეს, იგი კარგად უნდა ერკვეოდეს წარმოების ეკონომიკის, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების წყაროების საკითხებში, ყოველდღიურად ამდიდრებდეს თავის ცოდნასა და გამოცდილებას. მხოლოდ ამ პირობებში შესძლებს საამქროს უფროსი დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულებას.

კიდევ უფრო ავამაღლოთ საამქროთა უფროსების როლი წარმოებაში, მჭიდროდ დავრაზმოთ ისინი ლენინ-სტალინის პარტიის მიერ ჩვენი სოციალისტური მრეწველობის წინაშე დასახული ამოცანების განხორციელებისათვის საბრძოლველად.

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძევ, რომ მოლდავეთის სს რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა და გლეხურმა მეურნეობებმა შეასრულეს თავიანთი ვალდებულება სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით 2 მილიონ 500 ათასი ფუთი პურის ჩაბარების შესახებ. 1948 წლის 21 ოქტომბრისათვის სახელმწიფოს გეგმის გადამეტებით ჩაბარდა 3 მილიონ 137 ათასი ფუთი პური.

სახელმწიფოსათვის გეგმის გადამეტებით პურის ჩაბარება გრძელდება.

მოლდავეთის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. კოვალი

მოლდავეთის სს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე გ. რუდი

დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული მოლდავეთის
სს რესპუბლიკაში ა. სიჩი

მოლდავეთის სს რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის
მინისტრი თ. კოვალი

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობებისათვის წოდებათა მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და სსრ კავშირის მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამხატვრო აკადემიური თეატრის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ:

სსრ კავშირის სახალხო არტისტის წოდება

1. **ანდროვსკაიას** ოლღა ნიკოლოზის ასულს — რსფსრ სახალხო არტისტს.
2. **გრიბოვს** ალექსი ნიკოლოზის-ძეს — რსფსრ სახალხო არტისტს.
3. **ელანსკაიას** კლავდია ნიკოლოზის ასულს — რსფსრ სახალხო არტისტს.
4. **ერშოვს** ვლადიმერ ლევის-ძეს — რსფსრ სახალხო არტისტს.
5. **ლივანოვს** ბორის ნიკოლოზის-ძეს — რსფსრ სახალხო არტისტს.
6. **სტანიცინს** ვიქტორ იაკობის-ძეს — რსფსრ სახალხო არტისტს.
7. **ტოპორკოვს** ვასილ ოსიპის-ძეს — რსფსრ სახალხო არტისტს.
8. **შევჩენკოს** ფაინა ვასილის ასულს—რსფსრ სახალხო არტისტს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი.
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი.

მოსკოვი, კრემლი. 1948 წლის 26 ოქტომბერი.

ბრძანებულება

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

სსრ კავშირის მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობებისათვის საპატიო წოდებათა მინიჭების შესახებ

საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და სსრ კავშირის მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამხატვრო აკადემიური თეატრის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით მიენიჭოთ საპატიო წოდებანი:

რსფსრ სახალხო არტისტისა

1. **ბენდინას** ვერა დიმიტრის ასულს —რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
2. **ბლინიკოვს** სერგი კაპიტონის-ძეს —რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
3. **ვერბიცკის** ვსევოლოდ ალექსის-ძეს—რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
4. **გოტოვცევს** ვლადიმერ ვასილის-ძეს—რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
5. **დორონინს** ნიკოლოზ ივანეს-ძეს —რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
6. **ჟილცოვს** ალექსი ვასილის-ძეს—რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
7. **კომისაროვს** ალექსანდრე მიხეილის-ძეს — რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
8. **კტოროვს** ანატოლი პეტრეს-ძეს—რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
9. **კუდრიავცევს** ივანე მიხეილის-ძეს — რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
10. **ლიტოვცევას** ნინო ნიკოლოზის ასულს — რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
11. **მასალსკის** პავლე ვლადიმერის-ძეს—რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
12. **პეტკერს** ბორის იაკობის-ძეს — რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
13. **პოპოვს** ვლადიმერ ალექსანდრეს-ძეს — რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
14. **პოპოვას** ვერა ნიკოლოზის ასულს — რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
15. **ტიტოვას** მარიამ ანდრიას ასულს —რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
16. **ხალიუტინას** სოფიო ვასილის ასულს—რსფსრ დამსახურებულ არტისტს.

რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწისა

1. **გოტიეს** ნიკოლოზ ნიკოლოზის-ძეს — სცენის გამგეს.
2. **გუდკოვს** ივანე ივანეს-ძეს—მთავარ მხატვარ-გამნათებელს.
3. **კალინინს** სერგი ივანეს-ძეს — რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
4. **კალუჟსკის** ევგენი ვასილის-ძეს—მსახიობს.
5. **კარდაშევს** ანატოლი ნიკოლოზის-ძეს—რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
6. **მაზალევსკის** სერგი ალექსანდრეს-ძეს—მსახიობს.
7. **ნოვიკოვს** ვასილ კონსტანტინეს-ძეს — რსფსრ დამსახურებულ არტისტს.
8. **შვერუბოვიჩს** ვადიმ ვასილის-ძეს —სადადგმელო ნაწილის გამგეს.

რსფსრ დამსახურებული არტისტისა

1. **ანდერსს** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძეს—მსახიობს.
2. **ბატალოვს** ვლადიმერ პეტრეს-ძეს —მსახიობს.
3. **ბუტიუგინს** სერგი ალექსანდრეს-ძეს—მსახიობს.
4. **ვერშილოვს** ბორის ილიას-ძეს — რეჟისორს.
5. **გარელს** სოფიო ნიკოლოზის ასულს—მსახიობს.
6. **გერასიმოვს** გიორგი ავდეის-ძეს— რეჟისორს.
7. **გეორგიევსკაიას** ანასტასია პავლეს ასულს—მსახიობს.
8. **გრიბკოვს** ვლადიმერ ვასილის-ძეს —მსახიობს.
9. **გუზეევს** ალექსანდრე ივანეს-ძეს —მსახიობს.
10. **ელინას** ელენე კუზმას ასულს— მსახიობს.
11. **ივანოვას** კირა ნიკოლოზის ასულს—მსახიობს.
12. **ისტრინს** ვლადიმერ პავლეს-ძეს —მსახიობს.
13. **კარევს** ალექსანდრე მიხეილის-ძეს—რეჟისორს.
14. **კოლომიიცევას** ანა ანდრიას ასულს—მსახიობს.
15. **კომოლოვას** ანა მიხეილის ასულს—მსახიობს.
16. **კონსკის** გრიგოლ გრიგოლის-ძეს —მსახიობს.
17. **მიხაილოვსკაიას** ნინო ვალერიანის ასულს—მსახიობს.
18. **პუზირევას** მარიამ ივანეს ასულს —მსახიობს.
19. **რაევსკის** იოსებ მოსეს-ძეს — რეჟისორს.
20. **სკულსკაიას** ელისაბედ თეოფანეს ასულს—მსახიობს.
21. **ტიტუშინს** ნიკოლოზ თევდორეს-ძეს—მსახიობს.
22. **ხოვანსკაიას** ევგენია ალექსის ასულს—მსახიობს.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ვლასოვი
რსფსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი პ. ბახმუროვი

მოსკოვი, 1948 წლის 26 ოქტომბერი.

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა. საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და სახელმწიფოს წლიური გეგმის გადამეტებით ჩააბარეს 10.100 ცენტნერი ყურძენი, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 10.000 ცენტნერისა.

ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება

ჩოხატაურის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება და წლიური გეგმის გადამეტებით შეტეხეს 510.000 ზონარმეტრი თამბაქო, ნაცვლად ვალდებულებით ნაკისრი 500.000 ზონარმეტრისა.

ქლუხორის. ახალქალაქისა და თიანეთის რაიონების კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს საშემოდგომო თესვის გეგმა

ქლუხორის რაიონის კოლმეურნეობებმა საშემოდგომო თესვის გეგმა შეასრულეს 114,7 პროცენტით, ახალქალაქის რაიონისამ—111,3 პროცენტით და თიანეთის რაიონისამ—105,4 პროცენტით.

სსრ კავშირის მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამხატვრო აკადემიური თეატრის მსახიობთა დაჯილდოება სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 ოქტომბრის ბრძანებულებით საბჭოთა თეატრალური ხელოვნების განვითარებაში თვალსაჩინო დამსახურებისათვის და სსრ კავშირის მოსკოვის მ. გორკის სახელობის ლენინის ორდენოსანი და შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სამხატვრო აკადემიური თეატრის დაარსების 50 წლისთავთან დაკავშირებით დაჯილდოებულია ამ თეატრის მუშაკთა დიდი ჯგუფი.

ლენინის ორდენით დაჯილდოებული არიან:

რსფსრ სახალხო არტისტი ნ. ი. ბოგოლიუბოვი, რსფსრ სახალხო არტისტი მ. პ. ბოლდუმანი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბ. გ. დობრონრავოვი, რსფსრ სახალხო არტისტი ა. პ. ზუევა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სამხატვრო ხელმძღვანელი მ. ნ. კედროვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. ლ. კნიპერ-ჩეხოვა, რსფსრ სახალხო არტისტი ლ. მ. კორენევა, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე პ. ა. მარკოვი, დირექტორ-განმკარგულებელი ვ. ე. მესხეთელი, რსფსრ სახალხო არტისტი ვ. ა. ორლოვი, რსფსრ სახალხო არტისტი ნ. ი. პრუდკინი, რსფსრ სახალხო არტისტი ა. ა. სოკოლოვსკაია, რსფსრ სახალხო არტისტი ა. ი. სტეპანოვა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. კ. ტარასოვა, რსფსრ სახალხო არტისტი ა. ი. ჩებანი და რსფსრ სახალხო არტისტი მ. მ. იანშინი.

შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული არიან:

რსფსრ დამსახურებული არტისტი ე. ა. ალეევა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ო. ნ. ანდროვსკაია, მსახიობი კ. მ. ბაბანინი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ვ. ვ. ბელოკუროვი, რსფსრ სახალხო არტისტი ვ. დ. ბენდინა, რსფსრ სახალხო არტისტი ს. კ. ბლინიკოვი, რსფსრ სახალხო არტისტი ვ. ა. ვერბიცკი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. მ. გორჩაკოვი, რსფსრ სახალხო არტისტი ვ. ვ. გოტოვცევი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ი. პ. გოშევა, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ი. გრემისლავსკი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ნ. გრიბოვი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ი. ი. გუდკოვი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ა. ი. გუზეევი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ა. მ. დმოხოვსკაია, რსფსრ სახალხო არტისტი ნ. ი. დორონინი, რსფსრ დამსახურებული არტისტი მ. ა. დურასოვა, კ. ს. სტანისლავსკის კაბინეტის გამგე ნ. ი. ეგოროვი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი კ. ნ. ელანსკაია, რსფსრ დამსახურებული არტისტი ე. კ. ელინა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ლ. ერშოვი, ორკესტრის მსახიობი მ. გ. ჟურინი, რსფსრ დამსახურებული ექიმი, თეატრის სამედიცინო ნაწილის გამგე ა. ლ. ივეროვი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ბ. ლ. იზრალევსკი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ვ. პ. ისტრინი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. ი. კალინინი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ე. ვ. კალუჟსკი, ორკესტრის მსახიობი [illegible] ა. კამხინი, რსფსრ დამსახურებული არტისტი მ. ი. კარევიჩი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. ო. კნებელი, რსფსრ სახალხო არტისტი ი. მ. კუდრიავცევი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ო. ნ. ლაბზინა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ბ. ნ. ლივანოვი, რსფსრ სახალხო არტისტი ნ. ნ. ლიტოვცევა, საავეჯო-საბუტაფორო სახელოსნოს გამგე გ. გ. ლოპატინი, რსფსრ სახალხო არტისტი პ. ვ. მასალსკი, დირექტორის თანაშემწე ფ. ნ. მიხალსკი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ს. ა. მაზალევსკი, რსფსრ დამსახურებული არტისტი რ. ნ. მოლჩანოვა, რსფსრ დამსახურებული არტისტი ე. ნ. მორესი, დირექტორის მოადგილე ი. ვ. ნეჟნი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ვ. კ. ნოვიკოვი, რსფსრ სახალხო არტისტი დ. ნ. ორლოვი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ს. ს. პილიავსკაია, რსფსრ სახალხო არტისტი ვ. ა. პოპოვი, რსფსრ სახალხო არტისტი ვ. ნ. პოპოვა, ვ. ი. ნემიროვიჩ-დანჩენკოს სახელობის სკოლა-სტუდიის დირექტორი ვ. ზ. რადომისლენსკი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ი. მ. რაევსკი, რსფსრ დამსახურებული არტისტი ნ. კ. სვობოდინი, რეჟისორი-პედაგოგი ზ. ს. სოკოლოვა, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. ნ. სოსნინი, რსფსრ სახალხო არტისტი ი. ი. სუდაკოვი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ნ. დ. ტელეშოვი, რსფსრ სახალხო არტისტი მ. ა. ტიტოვა, რსფსრ დამსახურებული არტისტი ნ. ვ. ტიხომიროვა, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ვ. ო. ტოპორკოვი, რსფსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე მ. გ. ფალეევი, თეატრის მცოდნე ნ. ნ. ჩუშკინი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი ფ. ვ. შევჩენკო, რსფსრ დამსახურებული არტისტი ს. გ. იაროვი და რსფსრ სახალხო არტისტი ს. ვ. ხალიუტინა.

„საპატიო ნიშნის" ორდენით დაჯილდოებულია 89 კაცი, მედლით **„შრომითი წარჩინებისათვის"** — 124 კაცი. (საქდესი).

პრესის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი

გუშინ მუშაობას განაგრძობდა პრესის მუშაკთა რესპუბლიკური თათბირი. დილის სხდომაზე მოხსენებათა გამო კამათში გამოვიდნენ: გაზეთ „ბატუმსკი რაბოჩის" რედაქტორი ამხ. ა. ბალათურია, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის" რედაქტორი ამხ. გ. მერკვილაძე, გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქტორი ამხ. ა. კელენჯერიძე, გაზეთ „სოვეტსკაია აბხაზიას" სოფლის მეურნეობის განყოფილების გამგე ამხ. პ. სემენოვსკი, გაზეთ „ტკვარჩელსკი გორნიაკის" რედაქტორი ამხ. ლ. გოლდინოვი, საქდესის პასუხისმგებელი ხელმძღვანელი ამხ. ბ. შატბერაშვილი, საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების პრესის სექტორის გამგე ამხ. დ. მაისურაძე, საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის მდივანი პროპაგანდის დარგში ამხ. ი. კუდუხოვი.

საღამოს სხდომაზე კამათში გამოვიდნენ: გაზეთ „ლენინის დროშის" (მახარაძე) რედაქტორი ამხ. ა. სალუქვაძე, პარტიის ქუთაისის ქალაქკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგე ამხ. გ. რუხაძე, გაზეთ „საბჭოთა ოსეთის" რედაქტორის მოადგილე ამხ. ი. თედიაშვილი, გაზეთ „საბჭოთა აჭარის" რედაქციის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ი. რურუა, გაზეთ „ზარია ვოსტოკას" რედაქტორის მოადგილე ამხ. ა. ხმელნიცკი, გაზეთ „სინათლის" (ქუთაისის რაიონი) რედაქტორი ამხ. შ. ჯავახაძე.

თათბირის მუშაობა შეაჯამა საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა პროპაგანდის დარგში ამხ. რ. შადურმა.

თათბირმა მიიღო რეზოლუცია, რომელიც ითვალისწინებს გაზეთების მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებებს.

თათბირის შესახებ დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება „კომუნისტის" უახლოეს ნომერში.

ბოლნისის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა მთლიანად და გადაჭარბებით შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელზე გამოგზავნილი დეპეშით საქართველოს კ. პ. (ბ) ბოლნისის რაიკომის მდივანი ამხ. **ლომაძე** და რაიაღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ყულიევი** იუწყებიან, რომ რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 25 ოქტომბრისათვის შეასრულეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების გეგმები: ხორცისა—103 პროცენტით, რძისა—106, მატყლისა—101, ყველისა—106, ყურძნისა—112 პროცენტით და თამბაქოს შეტეხის გეგმა—118 პროცენტით.

სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადება და თამბაქოს შეტეხა გრძელდება.

საქართველოს ახალგაზრდობა ახალ-ახალი გამარჯვებით ხვდება ლენინურ-სტალინური კომკავშირის 30 წლისთავს

ახალგაზრდობის საიუბილეო საჩუქრები

⊙ კომკავშირის 30-ე წლისთავის აღსანიშნავად გაშლილი სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორებმა საქართველოში — თბილისის კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხნის ახალგაზრდობამ უკვე შეაჯამა ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების შედეგები. ვალდებულებანი მთლიანად განაღდებულია.

კიროველმა კომკავშირელებმა და კომკავშირგარეშე ახალგაზრდობამ იუბილესათვის მზადების დღეებში გეგმის გადამეტებით დაამზადეს და ააწყეს 5 უნივერსალური სახარატო დაზგა „დიპ-300“, დაზოგეს 7 ტონა ლითონი, 45.000 კილოვატსაათი ელექტროენერგია, მასალების მომჭირნეობით ხარჯვის შედეგად გასწიეს 5.000 მანეთი ეკონომია. საწარმოო გეგმების შესრულების საქმეში მრავალი კომკავშირელი დაწინაურდა. წლიური ნორმები უკვე შეასრულა 107 ახალგაზრდა მუშამ, მათ შორის 63 კომკავშირელია. 53 ახალგაზრდა მუშამ შეჯიბრების დღეებში აიმაღლა კვალიფიკაცია, 42 სწავლობს მუშა ახალგაზრდობის საღამოს სკოლებში. ქარხნის ახალგაზრდობის ინიციატივით მუშათა საერთო საცხოვრებელს გაუკეთდა რემონტი, შეკეთდა საქვაბე და გასათბობი მოწყობილობა.

კომკავშირის 30-ე წლისთავის მზადების დღეებში საწარმოო ნორმების გადაჭარბებით შესრულებისათვის 7 კომკავშირელის გვარი შეტანილია „ქარხნის საპატიო წიგნში“, ხოლო 40 კომკავშირელს ადმინისტრაციამ მადლობა გამოუცხადა შრომის სიაში შეტანით. საიუბილეო დღეებში მოპოვებული წარმატებისათვის კომკავშირელი მბურღავი სალომე ალავერდაშვილი სსრ კავშირის დაზგათმშენებელი მრეწველობის მინისტრის ბრძანებით დაჯილდოებულია „წარჩინებული დაზგათმშენებელის“ ნიშნით, ხოლო კომკავშირელი ხარატი დ. მოსესოვი — „სოციალისტური შეჯიბრების ფრიადოსნის“ ნიშნით.

⊙ თბილისის საორთქლმავლო დეპოს კომკავშირელებმა 23 სექტემბერს გეგმის გადამეტებით დაამთავრეს ერთი ორთქლმავლის საშუალო შეკეთება, 22 ოქტომბერს ჩქარი მეთოდით შეაკეთეს ერთი ორთქლმავალი, რასაც 90 საათის ნაცვლად 22 საათი მოანდომეს. საგამრეცხო საამქროს ახალგაზრდობამ გეგმის გადამეტებით ერთი ორთქლმავალი შეაკეთა. № 1448 კომკავშირული ორთქლმავლის ბრიგადამ, რომელმაც იკისრა 29 ოქტომბრამდე დაეზოგა 8 ტონა საწვავი, 23 ოქტომბრამდე 9 ტონამდე საწვავი დაზოგა. კომკავშირის 30-ე წლისთავის აღსანიშნავად დეპოში შეიქმნა ახალგაზრდული სამსხმელო საამქრო, რომელიც სტახანოვურ ვახტზე იდგა და ყოველდღიურ დავალებას 250 პროცენტით ასრულებდა. წარმატებული მუშაობისათვის ამ საამქროს კომკავშირის 30 წლისთავის სახელობის საამქროს სახელი მიენიჭა. დეპოში მომუშავე 15 ახალგაზრდამ უკვე შეასრულა 1948 წლის გეგმა, ხუთწლიანი გეგმა შესრულებული აქვს 11 კომკავშირელს. ამ საწარმოო საჩუქრებს დეპოს ახალგაზრდობა კომკავშირის სახელოვან იუბილეს მიუძღვნის.

⊙ მეოთხე სავაგონო უბნის ახალგაზრდობამ ჩქარი მეთოდით უზრუნველჰყო № 2649 ვაგონის საშუალო შეკეთება. შეკეთებას 7 საათი დასჭირდა. № 3536 ვაგონი, რომელიც წლიურ შეკეთებას მოითხოვდა, უბნის ახალგაზრდებმა სამუშაო საათების შემდეგ შეაკეთეს. ახალგაზრდობის საიარაღო საამქრო, რომელიც კომკავშირის იუბილესათვის მზადების დღეებში შეიქმნა და რომელსაც კომკავშირის კომიტეტის მდივნის მოადგილე ამხ. ტ. ტატიაშვილი ხელმძღვანელობს, საწარმოო დავალებას წარმატებით ასრულებს. განსაკუთრებით გამოირჩევიან ხარატი გ. გუნაშვილი, რომელიც ყოველდღიურ დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებდა, კომკავშირელი ხარატი ა. ნაფეტვარიძე, რომელიც გეგმას 250 პროცენტით ასრულებს, ა. კრომი და სხვები.

⊙ კომკავშირის 30 წლისთავის აღსანიშნავად ნაკისრი ვალდებულება ერთიორად და მეტად შეასრულა და 5.532 მანეთი ეკონომია გასწია თბილისის სატვირთო სადგურის კომკავშირულმა ცვლამ, რომელსაც დისპეტჩერი გ. მაისურაძე ხელმძღვანელობს. ცვლა უწუნოდ მუშაობს.

⊙ თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კომკავშირელმა მქსოველებმა ათასობით მეტრი მაღალხარისხოვანი ქსოვილი მიუძღვნეს სამშობლოს გეგმის გადამეტებით. მოწინავე სტახანოველმა ნ. ჩიტიძემ ომისშემდგომი სტალინური ხუთწლედის დასაწყისიდან მიმდინარე წლის 1 ოქტომბრამდე გეგმის გადაჭარბებით გამოუშვა 3.397 მეტრი ქსოვილი. გეგმის გადამეტებით მოქსოვეს მაღალხარისხოვანი მოდური ქსოვილები აგრეთვე კომკავშირელმა სტახანოველებმა ნ. გოგოლაშვილმა, მ. რიბაკმა, ლ. ოვჩერენკომ, მ. ალოხინამ და სხვებმა, ფაბრიკაში მომუშავე 15 სტახანოველ კომკავშირელს უკვე შესრულებული აქვს წლევანდელი საწარმოო დავალებანი.

⊙ კომკავშირელ მეშახტეთა ახალი რაზმი შეემატა ამ დღეებში ახალციხის ქვანახშირის მრეწველობის მუშათა კოლექტივს. კომკავშირელი მეშახტეები მოამზადა მეშახტეთა საფაბრიკო-საქარხნო სწავლების სკოლამ, რომელიც 155 ახალგაზრდამ დაამთავრა. კურსდამთავრებულებმა შესანიშნავად აითვისეს მნგრეველის, მებიგისა და ამფეთქებლის პროფესიები. რამდენიმე დღის წინათ კომკავშირის იუბილეს აღსანიშნავად კომკავშირელი მეშახტეები შევიდნენ შახტში სამუშაოდ და პირველი დღეებიდანვე იწყეს ქვანახშირის მოპოვების დღიური ნორმების გადაჭარბებით შესრულება.

⊙ ქუთაისის ლიტოპონის ქარხნის კომკავშირელებმა გასწიეს 17.628 კილოვატსაათი ელექტროენერგიის, 54 ტონა გოგირდის სიმჟავის, 63 ტონა კოქსის, 1 ტონა თუთიის ჟანგის, 50 ტონა ქვანახშირის და 36.320 მანეთი ზეგეგმითი ეკონომია.

განსაკუთრებული წარმატება მოიპოვეს მექანიკური საამქროს კომკავშირელებმა, რომლებმაც მიაღწიეს 5.000 კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომიას და შეაგროვეს 1,5 ტონა ფერადი და 6 ტონა შავი ლითონის ჯართი.

სახელოვანი იუბილეს აღსანიშნავად

სსრ კავშირის შრომითი რეზერვების სამინისტროს თბილისის ლითონსამსხმელო-მექანიკური ქარხნის კოლექტივმა ნაკისრი ვალდებულება — ლენინურ-სტალინური კომკავშირის 30 წლისთავისათვის შეესრულებინა წლიური გეგმა — ვადამდე გაანაღდა. 27 ოქტომბრისათვის ქარხანამ 102,7 პროცენტით შეასრულა წლიური გეგმა და გამოუშვა 2.517 ათასი მანეთის სასაქონლო პროდუქცია, მათ შორის გეგმის გადამეტებით გამოშვებულია ათობით სახარატო დაზგა.

ამ წარმატებით აღფრთოვანებული ქარხნის ახალგაზრდა კოლექტივი ახლა ენერგიის დაუზოგავად შრომობს იმისათვის, რომ წლის ბოლომდე სახელმწიფოს მისცეს 400 ათასი მანეთი ზეგეგმითი დაგროვება და ეს ვალდებულებაც ვადამდე შესრულოს.

თბილისის საწარმოების სტახანოველი კომკავშირელები მარჯვნიდან: (პირველ რიგში) გ. ბოკვერაძე, გ. ბერბიჭაშვილი და შ. გვენეტაძე—თბილისის საელმავლო დეპო, ლ. გოგიჩაძე, ვ. გერმანოზაშვილი და გ. ზარქუა—კიროვის სახელობის დაზგათმშენებელი ქარხანა; მეორე რიგში ტ. კალაშიანი, შ. თათარაშვილი, ა. კიკილაშვილი და კ. ნადირაძე—სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხანა, ა. ქვრივიშვილი და ს. ჩახიძე—26 კომისრის სახელობის ქარხანა. ფოტო რ. აკოფოვისა და ვლ. გინზბურგისა

ქართული ავტოქარხნის ახალგაზრდობა

შემოდგომის სისხამი დილა იყო. მზე კიდევ არა ჩანდა. მისი შორეული შუქი აღმოსავლეთის ცის კიდეს აელვარებდა, ლიხის ზემოთ, ხოლო დასავლეთის მხარეს, ლეჩხუმიდან მოკიდებული, ქართლსა და იმერეთს შუა გადაწოლილი მთაგრეხილების ჩრდილი დაჰფენოდა. არსად ღრუბლის ნატამალიც არ ჩანდა. ზემო იმერეთის დიდი და მცირე მწვერვალების სილუეტები ისე გამოსახულიყვნენ ცის შეწითლებულ ფონზე, თითქოს ზღვის შორეულ სივრციდან სანაპიროსაკენ გამოქანებული ფაფარაყრილი ტალღები ერთმანეთს ეხეთქებიანო.

ეს იყო იქით, შორს, ხოლო ჩვენს გარშემო, თითქოს წინა ღამით ჟუჟუნა წვიმა მოსულიყოს, ყველაფერი ჭარბად დაეცვარა. დაცვარული იყო ქუთაისისაკენ გაწოლილი ასფალტიანი ფართო გზა და მის ორივე მხარეზე წამოდგმული ქვიტკირის თითო და ორსართულიანი სახლების კრამიტის, თუნუქისა და ეტერნიტის სახურავები, მშენებლობის ვრცელ ტერიტორიაზე აქა-იქ ამართული ვეება საამქროების რკინის ქარგილები და ხლართები, ალაგ-ალაგ დაყრილი მაზუთისა და ტაოტის კასრები, მრგვალი რკინები და რელსები, თუჯის მილები, ჯერ კიდევ გაუხსნელი, გაუჟონავ სქელ ქაღალდში გამოხვეული დაზგების ნაწილები, საზიდრები, ტრაქტორები და ბულდოზერები, საბარგო ავტოები და ექსკავატორები, რომლებიც მოლილ აქლემებივით დაყუდებულიყვნენ.

ეს იყო ირგვლივ, მთელს თვალმისაწვდენ სივრცეზე, რადგან ახალ ქუთაისში ჯერ კიდევ მშენებლობის ბუღი და მტვერი ტრიალებს და ხის ხარაჩოები ჯერ კიდევ მაღლა, სულ მაღლა აჰყავთ დურგლებს.

ადრიანი დილის სიცივე და წინა ღამით მოსული ცვარი იმის მომასწავებელი იყო, რომ დღე იქნებოდა მზიანი და მხურვალე.

ალიონის იდილიური მყუდროება უცებ დაირღვა, ჰაერი ავტომობილების თუხთუხითა და ქოთქოთით აივსო. ქარხნის ალაყაფის წინ გაშლილ ვრცელ მოედანზე მსუბუქი და საბარგო ავტომობილები შემოგრიალდნენ. რამდენიმე წუთში ავტომანქანები დაიცალა. მოედანი ვაჟების ჟრიამულითა და ქალიშვილების კისკისით გაივსო. ასეა აქ ყოველ დღე. ასე იქნება, ვიდრე ქარხნის ირგვლივ დაპროექტებული სოციალისტური ქალაქის უბნებში არ წამოიჭიმებიან ლამაზი სახლები და მათში არ შესახლდებიან ცოლშვილიანი და მარტოხელა მუშები. მანამდე კი ასე ივლიან ყოველდღე, დილა-საღამოს, მანქანებით თავიანთ სოფლებში: მაღლაკსა და გუბში, გეგუთსა და ფარცხანაყანევში, წყალწითელასა და საღორიაში, მუხიანსა და კოპიტნარში.

საათის ისარი რვას მიუახლოვდა თუ არა, საყვირის მძლავრი ხმაც გაისმა. ეს ხმა სწრაფად გაიზარდა, გაიშალა, გასცდა ამწვანებულ მინდვრებსა და გორაკებს, კიდით-კიდეს მიეფინა. ის ალბათ მკაფიოდ ესმოდათ ქუთაისელებსა და წყალტუბოელებს, ხონელებსა და სამტრედიელებს, შეიძლება უფრო იქითურებსაც. მე პირველად იმ დილით გავიგონე ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ხმა და ასე მეგონა, ჩემთან ერთად იმ ხმას, იმ დილით მთელი საქართველო უსმენდა.

საყვირი ჯერ კიდევ ღონივრად გუგუნებდა. ქარხნის უზარმაზარი ალაყაფის რკინის კარები გაიღო. ადამიანთა ორი შეუკავებელი ნიაღვარი დაიძრა. ერთნი—წინა ღამით ფოლადსა და თუჯთან შენაბრძოლები, მოედნისაკენ მოემართებოდნენ, მანქანებზე ადგილის დასაჭერად და თავიანთ სოფლებისაკენ გასამგზავრებლად, მეორენი კი—ღამით დასვენებულნი და გამოძინებულნი, ქარხნის ეზოსაკენ მიიწევდნენ. მე ამ უკანასკნელთა ტალღამ გამიტაცა. მიდიოდნენ ისინი და მეც მივყვებოდი, თუმცა არც ერთ მათგანს არ ვიცნობდი, არცერთ მათგანთან იმ დილით საპირადო არა მქონდა რა.

ლენინურ-სტალინური სახელოვანი კომკავშირის არსებობის ოცდაათი წლისთავი ახლოვდება, იმ კომკავშირისა, რომელმაც ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით გმირული ბრძოლებისა და დაძაბული შემოქმედებითი მუშაობის დიდმნიშვნელოვანი ისტორიული ეტაპები გაიარა. და ახლა, ამ სახელოვანი იუბილარის შესახებ მეც მინდოდა ქვეყნის გასაგონად ორიოდე სიტყვა მეთქვა. ამიტომ მივაკითხე იმ დილით ქუთაისის საავტომობილო ქარხანას. მინდოდა მენახა იქაური ახალგაზრდობა, მინდოდა მენახა, თუ როგორ მუშაობს, როგორ დაუფლებია იგი ტექნიკას.

სატვიფრავ-მექანიკურ საამქროში უცნაური აღნაგობის მანქანასთან აღმოვჩნდი. მის გვერდით იდგა ოცდახუთი წლის ჯანღონით სავსე ჭაბუკი დ. ჯიქია. იგი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ მოსულა აქ. წინათ უპროფესიო ყოფილა. სამი წლის განმავლობაში შეუსწავლია ორი ხელობა. დღეს ხარატიც არის და მხეხავიც. ადვილად ითქმის, თორემ საავტომობილო საქმეში არცერთი ეს პროფესია არ არის საადვილო. დ. ჯიქიას წლიური გეგმა ოცი აგვისტოსათვის შეუსრულებია. მას შემდეგ მომავალი წლის ანგარიშზე მუშაობს. ამავე დროს შეგირდათ ვ. შალამბერიძე აუყვანია. იგი აქვე უდგას, გვერდით, ყმაწვილი თავის ახალგაზრდა ოსტატს ხელებში შესცქერის, ცდილობს არაფერი გამოეპაროს, ყოველივე გულში ჩაიბეჭდოს, ოსტატიც ბეჯითად ასწავლის, უნდა თავის სახელზე ქარხანას მაღალკვალიფიციური მუშა მოუმზადოს.

გვერდით დაზგასთან დგას ბაშელი ზ. ნუცუბიძე. ორი წლის წინათ მოსულა აქ, სწავლასა და მუშაობაში არავის ჩამორჩენია. მუშაობს დიდი და მცირე დეტალების მხეხავ ორ დაზგაზე. წლიური გეგმა ოცი აგვისტოსათვის გადაჭარბებით შეუსრულებია.

საამქროში ყველას ყურადღებას იპყრობს კომკავშირელი გ. ბოჭორიშვილი, რომელიც ამწევ მექანიზმების გამომჩარხავ მთავარ დაზგაზე მუშაობს. იგი ორი წლის განმავლობაში დაუფლებია ამ პროფესიას, გეგმებს ორასი პროცენტით ასრულებს.

სამაგალითოდ მუშაობს აგრეთვე ორიოდე წლის წინათ მოსული ქუთაისელი ბ. კეთილაძე. იგი ქარხანაში მოსულა რვაწლედის დამთავრების შემდეგ, აქ გამოუჭედავს თავისი მომავალი პროფესია. დღეს იგი საიარაღო საამქროს ერთ-ერთი მაღალკვალიფიციური ზეინკალია. ბ. კეთილაძე ოცი წლის ჭაბუკია. გამოცდილებით, დაკვირვებით, საქმის შესრულებით ორმოცი წლის კვალიფიკაციის მქონე მუშას არ დაუვარდება. მისი ყოფილი შეგირდი: გ. ცხადაძე და შ. მახვილაძე ამჟამად სტახანოველი ზეინკლები, ამავე საამქროში მუშაობენ.

მახლობლად მუშაობს ცხრამეტი წლის კომკავშირელი დრანდელი ა. კოხია. მას შვიდწლედის ცოდნის მეტი არაფერი ჩამოყოლია სოფლიდან. მისი ოსტატი იყო საამქროში ცნობილი ხელოსანი ა. ლიტვინოვი. პირველ ხანებში ა. კოხია ძლივს ამტვრევდა რუსულს, ხოლო ლიტვინოვმა კი არც ქართული იცოდა და არც მეგრული. მაგრამ მათ ენის უცოდინარობით გამოწვეული სიძნელე ჩქარა გადალახეს. ა. კოხიამ ისეთი გულმოდგინება გამოიჩინა, არა თუ ბრწყინვალედ შეითვისა ხელობა, ქარხნის ადმინისტრაციამ, როგორც ნიჭიერი ჭაბუკი, სხვებთან ერთად, კვალიფიკაციის ასამაღლებლად, გორკის საავტომობილო ქარხანაში გაგზავნა ორი წლის ვადით. ა. კოხიამ აქ ორი პროფესია შეისწავლა: ხრახნის ამოჭრა და მღარავობა, აქვე შეითვისა ავტომობილის აწყობის რთული ტექნიკაც.

მექანიკურ საამქროში ყურადღებას იპყრობს ახალგაზრდა ა. რუხაძე. მას ქალაქ წულუკიძეში ტექნიკუმი აქვს დამთავრებული. აქ რთულ მანქანას დაუფლებია და საუკეთესო ხელოსნად ითვლება. აკეთებს სიჩქარეთა კოლოფის ღერძებს, გეგმებს სამასი პროცენტით ასრულებს. მის მახლობლად მანქანაზე მუშაობს ამბროლაურელი ჭაბუკი ბ. გურესაშვილი, რომელსაც აქ მოსვლამდე ექვსი წელი შოფრად უმუშავნია. მოკლე დროში გურესაშვილს საერთო სიყვარული დაუმსახურებია, მას გორკის საავტომობილო ქარხანაში ძრავის დამზადების სპეციალობა შეუსწავლია და ახლა ძრავების დამამზადებელი საამქროს განყოფილების უფროსია.

სიმძლავრის ჩამრთველი კოლოფების ამკრებ განყოფილების უფროსია სამტრედიელი გ. ხაზარაძე. მას გასულ წელს დაუმთავრებია ქუთაისის საავტომობილო ტექნიკუმი, საუკეთესო ხელოსნად ითვლება, მაღალი ხარისხის პროდუქციას უშვებს.

ამკრებ განყოფილებაში მომუშავე ახალგაზრდათა შორის ცნობილია ონოღიელი ვ. გვაზავა. ეს ოცი წლის ყმაწვილი, რომელსაც ორი წლის წინათ დაუმთავრებია ქალაქ წულუკიძის სახელოსნო სასწავლებელი, დიდ დაკვირვებასა და უნარს ამჟღავნებს, იგი სახელმოხვეჭილი ხელოსანია, ხოლო ამ საამქროში სახელის მოხვეჭა, არც ისე ადვილი საქმეა.

აქ ვაჟებს, არც ქალები ჩამოუვარდებიან. ლითონსამსხმელ საამქროში კომკავშირელების მთელი ჯგუფი მუშაობს. მათ შორის არიან წინათ მემანქანე-საქმისმწარმოებლად ნამუშევარი ქუთაისელი ქ. ქვანია, გუბელი ნ. ცაგარეიშვილი, ლაბორანტი. ლითონის სიმკვრივისა და სიმძლავრის გამომკვლევი ს. ყუბანეიშვილი.

საიარაღო საამქროს ვრცელი კორპუსი სავსეა ათასნაირი დანიშნულების მანქანებით. ყოველი მათგანი რთული აღნაგობისაა და დრო და დრო ყოველ მათგანს თავისებური ჭირვეულობა ახასიათებს. ამიტომ ზუსტად, ზედმიწევნით უნდა იცნობდე მათ ყოველ ნაწილაკს, რომ მუშაობის შეწყვეტის, ან შეფერხების დროს ჩქარა მიუხვდე. ეს დიდ ცოდნას და გამოცდილებას მოითხოვს. ყოველივე ამას ბრწყინვალედ ასრულებს სამტრედიელი გოგონა ია ნაცვლიშვილი. მას რამდენიმე წლის წინათ დაუმთავრებია თბილისის კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი. მას შემდეგ აქ მუშაობს.

საიარაღო-საამქროს თვალის ჩინია ყველაზე ახალგაზრდა, თექვსმეტი წლის ვლადიმერ ადეიშვილი. იგი ყველაზე პოპულარულია საამქროს განყოფილებებში. ეს მან დაიმსახურა: ნიჭით, ჭკუით, საქმის სიყვარულით, ხელობით. მას მშობლები არ ახსოვს, ობლად იზრდებოდა. მან ქუთაისის სახელოსნო სასწავლებელი ფრიადზე დაამთავრა. სახელმწიფო საგამოცდო კომისიამ ერთხმად მეხუთე თანრიგის ზეინკლის წოდება მიუცია მისთვის.

ამ ტანად პატარა და მარდი ყმაწვილის პოვნა არც ისე ადვილი აღმოჩნდა,—ვინ იცის, რომელ მანქანის ქვეშ არის შემძვრალი—სიცილით გვიპასუხეს ახალგაზრდებმა. ბოლოს, როგორც იყო მაინც აღმოვაჩინეთ. ვლადიმერი დაშლილ ძრავასთან ჩამიმდგდარიყო. ცალ ხელში ხრახნის მოსახსნელი მოზრდილი გასაღები ეჭირა, მეორეში—ჩვარი და ძრავს შიგამოწყობილობას წმენდდა.

— ჩვენ არ ვტვირთავთ მას, თორემ დავაჟკაცებულ მუშას არ ჩამოუვარდება. ასე პატარა რომ არ იყოს, ახლავე შეიძლება განყოფილება ჩავაბაროთ, ისეთი გამოცდილი და დაკვირვებულია, —განაცხადა ვლადიმერის შესახებ ქარხნის კადრების განყოფილების უფროსმა.

განა მარტო ვლადიმერ ადეიშვილია ასეთი მისაბაძი?! ასეთია ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში მომუშავე ასობით სხვა ახალგაზრდა, მათი საგმირო საქმეებს მიმდინარე ხუთწლედის ბოლოს გამოაჩენენ ქუთათური მანქანები „ზის-150“.

პოლიო აბრამია

ქუთაისი, 1948 წ. ოქტომბერი.

ამირან აბშილავა

ქართველ კომკავშირელთა სიმღერა

ჩვენ ყველგან ვართ საქართველოს ბაღებში,
ჩვენი ხელით ხრიოკებმაც იხარა,
ჩვენ ყველგან ვართ ბარაქიან ყანებში,
წიგნებთან თუ მაღაროში, ქარხნებში,
სადაც ძლევის სიმღერაა, — იქა ვართ!
ჩვენ ბერიას მარჯვენათი გაზრდილებს
რა არ ძალგვიძს. ოცდაათი წლისა ვართ,
ჩვენ კუნთმაგარ და ჯანმაგარ ყმაწვილებს,
ჯულაშვილის შევარდნებს და არწივებს,
მოგვიხმობენ?! — ჩვენ მზადა ვართ! იქა ვართ! —
საბჭოეთის
გასახარად,
დასაცავად,
სულ მზადა ვართ.
ჩვენ ხომ მარად
ახალგაზრდა ხნისა ვართ.
გუშინ, როცა ომი გვქონდა აფთრებთან,
მტერს დავუხვდით შეურყეველ კლდის დარად
და თუ მტერი ისევ აიფაფრება,
ჩვენი რისხვა კვლავაც თავს დაატყდება.
ჩვენს წმინდა ფიცს შევასრულებთ! იქა ვართ!
მოგვაქვს გული — ლაღი, კომკავშირული,
ჩვენ დიდ სტალინს ლენინის გზით მივყავართ.
ჩვენ იქა ვართ, სად შრომაა გმირული,
სადაც ბრძოლა გვიხმობს თავგანწირული,
სად პარტია დაგვიძახებს, — იქა ვართ.
საბჭოეთის
გასახარად,
დასაცავად,
სულ მზადა ვართ!
ჩვენ ხომ მარად
ახალგაზრდა ხნისა ვართ!

დღეები ახალსოფლელ ახალგაზრდებთან

ქვითკირით აგებული ახალი კლუბის დარბაზში კოლმეურნეებს მოეყარათ თავი. ახალსოფლელები სერიოზულ საქმეზე შეკრებილიყვნენ.

— ამხანაგებო, — სთქვა კოლმეურნეობის თავმჯდომარე ვლადიმერ ბაკურაძემ, — სამშობლოს ინტერესები მოითხოვენ გავზარდოთ მარცვლეულის მოსავლიანობა, მოვიწიოთ ჰექტარზე 70 ცენტნერამდე სიმინდი...

კარგა ხანს ლაპარაკობდა იგი. ბოლოს დამსწრეებს მიმართა:

— როგორ ფიქრობთ, ამხანაგებო? გამოსთქვით თქვენი აზრი...

— მომეცით სიტყვა, — მოისმა უკანა რიგებიდან, და ტანმომცრო შავთვალა ახალგაზრდა წამოდგა.

— შეიძლება ასეთი მოსავლის მოყვანა. ჩვენს კოლმეურნეობაში საამისო პირობები არის, მხოლოდ საჭიროა თავდადებული შრომა, აგროღონისძიებათა ზუსტად დაცვა. ცხადია უშრომლად არაფერი გამოვა... აი, მაგალითად თეკლათელი მერგოლური ბაგრატ გვიჩია! მას ხომ ხუთ წელზე მეტია სიმინდის სარეკორდო მოსავალი მოჰყავს... თუ კი მან შესძლო მაღალი მოსავლის მოყვანა, — ჩვენ რატომ ვერ უნდა შევძლოთ, თეკლათისა და ახალსოფლის ნიადაგებს შორის რა განსხვავებაა? მოვინდომოთ, ამხანაგებო, შეიძლება ამის გაკეთება... მე და ჩემი რგოლის წევრები—კომკავშირელები, პირობას ვიძლევით მოვიწიოთ ჰექტარზე 70 ცენტნერი სიმინდი.

— ამინდმა თუ შეგვიწყო ხელი...—ჩაილაპარაკა ვიღაცამ გაუბედავად...

— რანაირი ამინდიც უნდა იყოს, ეს უნდა შევძლოთ! — მოკლედ მოუჭრა კომკავშირელმა მერგოლურმა და დაჯდა.

დარბაზი შეინძრა, საუბარი გაცხოველდა.

— თუ სილოვან დავითაია შესძლებს, ჩვენ რა ნაკლები ვართ? ვკისრულობ — ჩემი რგოლის ყოველ ჰექტარზე მოვიწიო 70-75 ცენტნერი სიმინდი, — დაბეჯითებით წარმოსთქვა კომკავშირული რგოლის ხელმძღვანელმა ვალერიან ბახტაძემ.

— მეც...

— მეც, — ფიცივით წარმოსთქვამდნენ ახალგაზრდები.

ახალგაზრდებს არც ხნიერი კოლმეურნეები ჩამორჩნენ.

ერთსულოვანი გადაწყვეტილებით დაიშალა კრება. და, აი ამ ერთსულოვნების შედეგები: 1947 წელს ახალსოფლელმა (ცხაკაიას რაიონი) კოლმეურნეებმა 406 ჰექტარზე 11.748 ცენტნერი სიმინდი მოიწიეს, საშუალოდ თვითეულ ჰექტარზე 29 ცენტნერი, გეგმით გათვალისწინებული 16 ცენტნერის ნაცვლად. სამ კომკავშირელს — ს. დავითაიას, ვ. ბახტაძეს და ი. ტყებუჩავას სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭათ, სხვებმა კი ორდენები და მედლები დაიმსახურეს.

იმაზე უკეთესი რა არის — გაამართლო სამშობლოსათვის მიცემული სიტყვა! და ახალსოფლელი კომკავშირელებიც ახალი ენერგიით შეხვდნენ 1948 წელს.

* * *

გაზაფხულის მზიანი დილა გათენდა, მაგრამ ჩქარა მუქი ღრუბლები წამოიშალა, ცამ ტყვიისფერი გადაიკრა. წვიმის პირველი წვეთები ხარბად შეისრუტა მიწამ.

— მარდად, ბიჭებო! თუ მიწა დაასველა, შესანიშნავი სამუშაო დაგვიდგება, — წარმოსთქვა სილოვანმა.

ახალგაზრდები შეუსვენებლივ მუშაობდნენ, ვერ იტყოდი, რომელი რომელს სჯობნიდა, ყველა ბეჯითად ერკინებოდა ბარაქიან მიწას: შალვა დავითაია, თინათინ დავითაია, ბუდუ ხურცია, ვალიკო დანელია, რამინ ხუნწარია, დათიკო მურღულია... თვითეული მათგანი გულდასმით აკვირდებოდა ხნულს, კვლებში ჩაყრილ თესლს, სადაც თესლის რაოდენობა საეჭვოდ ეჩვენებოდათ, იქ დამატებით ჰყრიდნენ მარცვალს, შემდეგ კი ნაკელითა და მიწით ჰფარავდნენ მას. წვიმა თანდათან მატულობდა...

შუადღისას გამოიდარა. პირნაბანი მიწის საამო სუნი დადგა. ახალგაზრდები არ ისვენებდნენ. ფუძეს უდებდნენ უხვ მოსავალს.

ვალერიან ბახტაძის ფართობშიც თავგამოდებული შრომა იყო გაჩაღებული.

* * *

ახლა ახალსოფლის კომკავშირელთა მთავარი საზრუნავი სიმინდის უხვი მოსავლის დროზე აღება და დაბინავებაა. ხშირი ავდრის მიუხედავად, ახალგაზრდობა ძალების დაუზოგავად შრომობს საკოლმეურნეო ყანებში. სოფლის შარაგზებზე, ორღობეებში გაისმის სიმინდით დატვირთული ურმების ჭრიალი, კოფოზე მჯდარი ჭაბუკები ნელა ღიღინებენ... რამინ ხუნწარია „კაპიტან ბუხაიძეზე“ წამოიწყებს სიმღერას. მას ბანს აძლევენ დანარჩენები.

ახალგაზრდები აბინავებენ მუყაითი შრომით მოწეულ უხვ მოსავალს.

ბ. მილიუტინი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლაშიც, შრომაშიც მოწინავეთა რიგებში

თორტიზელი კომკავშირელის საუბრის ჩანაწერი

საღამოს ნისლი გადაიყარა, აშკარად გამოჩნდა გორის ციხის ქონგურები. ტირიფონის ველზე ბინდი ჩამოწვა.

კოლმეურნეობა „წითელი თორტიზის“ კანტორაში ვუცდით კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის ხელმძღვანელს. დარბაზში სინათლე შემოიტანეს, რამდენიმე წუთის შემდეგ კანტორაში შემოვიდა ცოცხალთვალებიანი საშუალო ტანის ახალგაზრდა.

— აი, მოვიდა ამხანაგი იოსებ იოსებიძე.

— აბა, იოსებ, მოგვიყევი, თუ როგორი წარმატებით ხვდები კომკავშირის XXX წლისთავს, — მიმართა მას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ სამსონ ბერძენიშვილმა.

დარბაზში რიგ-რიგობით შემოდიოდნენ თორტიზელი კოლმეურნეები, უხმოდ სხდებოდნენ სკამებზე და უსმენდნენ იოსებ იოსებიძის საუბარს:

— საბჭოთა არმიიდან დემობილიზაციით დაბრუნებულს, მეხუთე ბრიგადის ხელმძღვანელობა დამაკისრეს, ბრიგადაში 30 კოლმეურნე ითვლებოდა. მათ შორის შვიდი კომკავშირელი იყო. ყველანი შევკრიბე და თავდადებული მუშაობის პირობა დავდეთ. მოსავლელად მოგვაჩინეს 19 ჰექტარი სიმინდი, 30 ჰექტარი პურის ყანა, 10 ჰექტარი შაქრის ჭარხალი და 9 ჰექტარი ბოსტნეული კულტურები.

— რა ღონისძიება გაატარეთ შაქრის ჭარხლის მოსავლიანობის გასადიდებლად? — ჰკითხეს მას.

— ბევრი რამ გავაკეთეთ. ზოგიერთს დავასახელებ. აი, მაგალითად, მთელ ფართობში შევიტანეთ 12 ტონა მინერალური სასუქი და 150 ურემი ორგანული სასუქი, შაქრის ჭარხლის პლანტაციისათვის არ დაგვიკლია რწყვა-გაფხვიერება, — სთქვა იოსებიძემ.

— გვიამბეთ ბრიგადის მოწინავე ადამიანების შესახებ.

— ჩვენს ბრიგადაში ყველა მოწინავეა, ერთიმეორეზე უკეთესად მუშაობენ, ჩვენი საქმეებით კოლმეურნეობის გამგეობა კმაყოფილია. აღვნიშნავ კომკავშირელების მაყვალა მერებაშვილის, შოთა იოსებიძისა და შოთა მერებაშვილის ენერგიულ მუშაობას. ამით შეფასებას ვაძლევ ჩემი ბრიგადის ყველა წევრს.

ამხ. იოსებიძემ საუბარი შესწყვიტა. მიაცქერდა კედელს, სადაც გაშლილი იყო წითელი დროშა წარწერით: „უხვი მოსავლისათვის სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებულ კოლმეურნეობას“. ეს დროშა 1944 წელს მიიღო თორტიზის კოლმეურნეობამ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროსაგან.

დარბაზში მყოფნი სდუმდნენ. იოსებიძე ანთებული თვალებით შესცქეროდა დროშას, მას, შესაძლოა, იგი ფიქრებით ასე ეფიცებოდა:

— ბრიგადაში უხვი მოსავლისათვის დაწყებული ლაშქრობა გამარჯვებით დაგვირგვინდა, 1949 წელსაც უხვ მოსავალს მოვიყვანთ. დროშავ, შენ კვლავ ჩვენთან იქნები! ახლა მხარგაშლილნი ვეგებებით კომკავშირის დაბადების დღეს!

— შენს ბრიგადაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავებაზე რამდენი შრომადღე დაიხარჯა, — შეეკითხა კოლმეურნეობის თავმჯდომარე.

— ჩვენ მოსავლელად გვაბარია 68 ჰექტარი სახნავ-სათესი მიწა, იგი რიგიანად დავამუშავეთ და 4.600 შრომადღე დავხარჯეთ. პირადად მე 260 შრომადღე გამოვიმუშავე.

მოულოდნელად, როგორც საუბრის შედეგთა შეჯამება, გაისმა კოლმეურნეობის თავმჯდომარის სიტყვები:

— 19 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 50 ცენტნერი სიმინდი, 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 800 ცენტნერი შაქრის ჭარხალი — ასეთია ამხ. იოსებიძის კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადის მუშაობის შედეგი.

შეკრებილნი უნდა დაშლილიყვნენ, მაგრამ მოხუცი კოლმეურნე გიორგი ბერძენიშვილი წამოდგა და იოსებიძეს მიმართა:

— შვილო, ბარემ ესეც გვითხარი, შინ რამდენი ტონა მარცვლეული მიიტანე?

— ამის თქმა აუცილებელია,—დაეთანხმნენ იქ მყოფი კოლმეურნეები.

— რატომაც არა, ვიტყვი!—წამოიძახა იოსებიძემ და განაგრძო, — ჩვენს კოლმეურნეობაში წელს თვითეულ შრომადღეზე მარტო ავანსის სახით გაიცა 12 კილოგრამი მარცვლეული. 10 თვეში გამომუშავებული შრომადღეების ანგარიშში სამნახევარი ტონა მარცვლეული ჩავყარე ჩემს ბეღელში, — და უდიდესი კმაყოფილებით დასძინა:

— ძია გიორგი, წლის ბოლოს კიდევ სხვა იქნება!

ამ საუბარმა ცხოველი ინტერესი გამოიწვია.

ახლა ჩვენი დიდი სამშობლო დღესასწაულობს ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXX წლისთავს.

ზეიმია სოფელ თორტიზაშიც, დღესასწაულობენ თორტიზელი კომკავშირელის იოსებიძის ბრიგადასა და ოჯახში.

ს. ყურაშვილი

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სოციალისტური შრომის გმირი კომკავშირელები: (მარცხნიდან) ქვემოდან ზევით: ლ. კილავა (წალენჯიხის რაიონი), ზ. ბალათელია (გუდაუთის რაიონი), შ. ხურცილავა (გალის რაიონი), ა. წოწორია (ზუგდიდის რაიონი), გ. ბოლქვაძე (აბაშის რაიონი), ი. ტყებუჩავა (ცხაკაიას რაიონი), ლ. შამბა (გუდაუთის რაიონი). ფოტო რ. აკოფოვისა

ქართველი ქალიშვილი სიმფეროპოლში

სიმფეროპოლი...

სტუდენტების ქუჩა № 12.

ჩვენს თვალწინ ნანგრევებად ქცეული სამსართულიანი შენობაა.

აქ იყო მოთავსებული გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა საიდუმლო პოლიცია... გესტაპო. ჰიტლერელებმა თავიანთი მხეცობის ნაკვალევის მოსპობის მიზნით გაქცევის წინ ააფეთქეს ის.

ამ შენობაში იყრიდნენ თავს ათასგვარი ფიურერები, „ახალი წესრიგის“ მოციქულები, ევროპის ყოველ კუთხეში სიკვდილის მთესველები.

აქ, ამ უზარმაზარი შენობის სარდაფებში მოაწყეს ფაშისტებმა თავიანთი ჯურღმულები და ადამიანთა სასაკლაოები. ამ სულის შემხუთველ ჯურღმულებში ჰყრიდნენ საბჭოთა პატრიოტებს, თავისუფლებისმოყვარე, სოციალისტური სამშობლოს ერთგულ შვილებს.

ქართველ ოფიცერთა ჯგუფი ვდგავართ ამ ნანგრევთა წინ და ღრმად განვიცდით ჩვენს ირგვლივ თავმოყრილ ადგილობრივ მცხოვრებთა წუხილს.

ტირიან დედები, რომელთა შვილების სიცოცხლე ამ ჯურღმულებმა შთანთქეს. ტირიან ცოლები, რომელთა ქმრების ფეხის ნაკვალევმა მხოლოდ აქამდე მოაღწია... ტირიან შვილები, ძმები და დები, რომელნიც ვერასოდეს ვეღარ იხილავენ თავიანთ მამებს, დებსა და ძმებს... აქ ისხდნენ ისინი, ამ ჯურღმულებიდან ყოველდამ მოისმოდა ნაწამებ ადამიანთა ყრუ ძახილი, თითქოს ქვესკნელიდან ამოდისო ხმა. დიახ, აქედან მოისმოდა მათი ყრუ, მაგრამ მჭექარე ხმები: „ვკვდები სამშობლოსათვის...“, „მაწამეთ, ჯალათებო, თქვენ განწირულნი ხართ!.. ჩვეხები მალე მოვლენ!...“, „ჩემი შვილი... ჩემი ძმა... ჩემი მამა გადაგიხდით სამაგიეროს...“.

— თითქოს ახლაც მესმის ეს ხმები...

ჩაილაპარაკა ვიღაცამ და გასცილდა მოზღვავებულ ხალხს.

ხალხი წავიდ-წამოვიდა. ჩვენ შევედით ჯურღმულთა ნანგრევებში, რათა ამოგვეკითხა ტანჯულთა და წამებულთა მინაწერები კედლებზე. ადგილობრივი მცხოვრებნიც ხომ ამ მიზნით იყვნენ აქ შეკრებილნი!

აი პირველი საკანი. შმორის სუნი დგას. ხელის ფარნის შუქზე ძლივს ვარჩევთ კედლებზე მინაწერებს. მეტი წილი ფრჩხილებითაა დაწერილი. ვკითხულობთ:

„სიცოცხლის 28-ე წელს 10. III. 44 წ. აქ იჯდა ვიქტორ ეფრემოვი. მისჯილი აქვს სიკვდილი, რაც სისრულეში იქნება მოყვანილი 24. III. 44 წ. მშვიდობით, ძვირფასო მეგობრებო და ამხანაგებო, მე ვკვდები ჩვენი საყვარელი სამშობლოს საქმისათვის. იცოცხლეთ ყველამ, იქონიეთ კავშირი პარტიზანებთან. მაგრამ გახსოვდეთ, რომ არიან ადამიანები, რომლებიც ღუპავენ ასობით კარგ ადამიანს. მშვიდობით მეგობრებო. ეფრემოვი“.

გადავდივართ მეზობელ საკანში. ვაკვირდებით კედლებს. შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო შემდეგი სტრიქონები:

„ამ საკანში იჯდა ბორის ხოხლოვი.

Навек, друзья мои, прощайте,
Прости меня, родная мать.
Родные, вы не забывайте,
Здесь мне придется погибать»...

მონგრეული კედლის პატარა ადგილზე ამოვიკითხეთ:

„მიხეილ შევჩენკო. სიმფეროპოლი, საკის ქუჩა № 12. ალბათ პირდაპირ მარსზე. 22. 3. 44 წ.“.

მომდევნო საკანში კედლებზე ერთიმეორის გვერდით შემდეგი მინაწერები აღმოჩნდა:

„სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში აქ იჯდა მასწავლებელი დრაგომიროვა. 2. XI. 43 წ.“.

„შურა სემენჩენკო, 20 წლისა. დაიღუპა სამშობლოსათვის. გადაეცით ჩემს მახლობლებს, რომ შური იძიონ ჩემთვის და ჩემი შვილისათვის. ბახჩისარაი, ხანძრის ქუჩა № 15“.

გარეთ გამოვედით. ნაწილისაკენ წასვლა დავაპირეთ. ამ დროს ერთ-ერთი ნანგრევიდან ქალის ტირილი მოგვესმა. მივაშურეთ დანგრეულ საკანს. იქ იდგა ხანში შესული მანდილოსანი 7-8 წლის ბიჭით. მოთქმით ტიროდა. მის წინ ნათლად მოსჩანდა წარწერა:

„ჩემო ბიჭიკო ქენიჩკა. მშვიდობით, გენაცვალე, საყვარელო შვილო. დღეს მე დამხვრეტენ. განაგრძე ჩემი საქმე, სხვას არავის მიანდო, ჩემო იმედო, იყავი სამშობლოს პატრიოტი. შენი დედიკო ოლღა გრუდინა...“

ბავშვიც ტიროდა თავისი ბებიის ამაღელვებელ სიტყვებზე. ან ვის შეეძლო იქ მდგარიყო და ასეთი სურათის მნახველს გული არ ამოსჯდომოდა!

წარწერები და კვლავ წარწერები:

„დავიღუპე სამშობლოსათვის. მშვიდობით.. (ვერ გავარჩიეთ სიტყვა)... და ყველა მებრძოლო ამხანაგო, შური იძიეთ ჩვენი დაღვრილი სისხლისათვის... ჩვენ გაგვცეს (ვერ გავარჩიეთ მომდევნო სიტყვა)“...

უცბად ერთ ადგილზე გავშეშდით, როცა მეორე კედელზე ამოვიკითხეთ:

„1944 წლის 10 მარტიდან... მდე აქ იჯდა ზოია რუხაძე“.

ვერც იქ მყოფმა მანდილოსანმა, ვერც სხვამ ვერ გვიპასუხეს, თუ ვინ იყო ზოია რუხაძე, როგორ მოხვდა აქ, რა ბედი ეწია გესტაპოს ჯურღმულებში მოხვედრილ ქართველ ქალს.

შტაბში დაბრუნებისას დაგვახვედრეს ბრძანება, რომ სასწრაფოდ მოვემზადებულიყავით სევასტოპოლის მიმართულებით სალაშქროდ...

• • •

ათას ცხრაას ორმოცდახუთი წლის ზაფხულის მიწურულს ყირიმს ესტუმრა იუგოსლავიის მებრძოლი ახალგაზრდობის დელეგაცია. სიმფეროპოლის კომკავშირელებმა მათ საზეიმო შეხვედრა მოუწყეს. ამ საზეიმო სხდომაზე მიწვეული იყვნენ სამხედრო ნაწილების წარმომადგენლებიც, მათ შორის ქართველ მეომარ კომკავშირელთა ჯგუფი.

კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მდივანმა მარტინოვამ თავის მოხსენებაში ბევრი ილაპარაკა სიმფეროპოლის კომკავშირელთა გმირულ ბრძოლაზე გერმანელთა ოკუპაციის წლებში.

— სამშობლო არასოდეს დაივიწყებს, — სთქვა მან, — მგზნებარე პატრიოტებს, ლენინურ-სტალინურ კომკავშირში აღზრდილ გმირებს ბორია ხოხლოვს, სენია კუსაკინს, ზოია რუხაძეს, ზოია ჟილცოვას და მრავალ სხვას, რომელთაც ჩვენი საყვარელი სამშობლოს თავისუფლებისა და ღირსების დაცვისათვის ბრძოლის კეთილშობილ საქმეს სიცოცხლე შესწირეს!...

მეორე დღეს მარტინოვას კაბინეტში ვიჯექი და ყურადღებით ვისმენდი მის ნაამბობს ზოია რუხაძისა და მისი მებრძოლი ამხანაგების არალეგალური პარტიზანული ბრძოლის ამაღელვებელ ეპიზოდებზე...

• • •

სიმფეროპოლის ქალაქის კომკავშირელთა არალეგალური ორგანიზაცია შეიქმნა ფარული პარტიული ცენტრის ხელმძღვანელობით, რომელსაც გერმანელთა ოკუპაციის წლებში მეთაურობდნენ პარტიის ყირიმის საოლქო კომიტეტის მდივანი ამხ. მოკროუსოვი და საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორი, სამოქალაქო ომის ვეტერანი, ნაცადი ბოლშევიკი, ივანე კოზლოვი.

როდესაც პარტიულ ცენტრს წარუდგინეს კომკავშირის არალეგალური ორგანიზაციის წევრთა სია, მოკროუსოვმა გულდასმით ჩაათვალიერა ის და შეჩერდა...

— ზოია რუხაძე... საიდან არის ეს ქართველი ქალიშვილი?

— სიმფეროპოლიდან.

— როგორ თუ სიმფეროპოლიდან? — იკითხა კოზლოვმა.

— აქაურია, ამხანაგო ივანე, — უპასუხა ბორის ხოხლოვმა, — ქალაქის საბჭოში მუშაობდა საგეგმო განყოფილების უფროსის მოადგილედ. მედგარი კომკავშირელია, უშიშარი, დინჯი და დაკვირვებული.

— სანდოა?

— თქმა არ უნდა, ისევე როგორც მე, სენია კუსაკინი, კოლია დოლეტოვი, ლიდა ტროფიმენკო, შურა ციურუპა და ზოია ჟილცოვა. საქმით გვყავს შემოწმებული. — სთქვა ხოხლოვმა და მოკლედ უამბო პარტიული ცენტრის ხელმძღვანელებს, თუ როგორ შეასრულა ზოია რუხაძემ ზოგიერთი სპეციალური დავალება.

ამის შემდეგ ზოია რუხაძე კომკავშირელთა ფარული ორგანიზაციის შტაბის წევრად აირჩიეს. მას დავალებული ჰქონდა საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობების გამრავლება და მოსახლეობაში გავრცელება.

ყოველ დილას, ქალაქის ცენტრში, პუშკინისა და კარლ მარქსის ქუჩების კუთხეში, სადაც ყველაზე უფრო ხშირად მიმოდიოდნენ გერმანელი მოხელენი, გაჩნდებოდა ხოლმე კედლებზე გაკრული საბჭოთა საინფორმაციო ბიუროს ცნობები. ეს ზოია რუხაძის ნახელავი იყო ხშირად ცნობები გერმანელთა ქალაქის თვითმმართველობის შენობის კედლებზეც იყო გაკრული.

• • •

1943 წლის შემოდგომაზე, ერთ საღამოს, ბორის ხოხლოვმა შტაბის წევრები თავის ბინაზე მიიწვია.

— მე, როგორც ქალაქის არალეგალური კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა, — დაიწყო მან, — მივიღე პარტიული ცენტრის დავალება, რაც უახლოეს დროში უნდა შევასრულოთ. სანამ დავალების განაწილებას შევუდგებოდეთ, მოვუსმინოთ პარტიზანული შტაბის წარმომადგენელს, რომელიც ეს-ეს არის ჩამოვიდა ტყიდან.

ზოია რუხაძემ მხოლოდ ახლა შეამჩნია უცხო ადამიანი, რომელიც კუთხეში მოშორებით იჯდა და საველე ჩანთიდან ამოღებულ ფურცლებს პატარა წიგნაკებად აწყობდა.

ყველანი სმენად გადაიქცნენ.

პარტიზანული შტაბის წარმომადგენელი წამოდგა, მაგიდასთან ახლოს მივიდა და დაიწყო:

— უწინარეს ყოვლისა ნება მომეცით გადმოგცეთ, რომ ჩვენი პარტიზანული შენაერთის შტაბი კმაყოფილია თქვენი ორგანიზაციის მუშაობით. უახლოეს დროში მოსალოდნელია წითელი არმიის შეტევითი ოპერაციები ყირიმის მთელ ტერიტორიაზე. მტერი შეეცდება ათასგვარი ჭორი გაავრცელოს და ხალხს განთავისუფლების იმედი გაუქარწყლოს. ამიტომ თქვენ დაგჭირდებათ მეტი სიფხიზლე გამოიჩინოთ. დაუყოვნებლივ გაქფანტოთ მტრის ყოველგვარი მონაჭორი... ჩვენთან მოსულია ცნობები, რომ ორგანიზაციაში იღებთ შეუმოწმებელ ადამიანებსაც. რა უნდა არალეგალურ კომკავშირულ ორგანიზაციაში შამილ სემირხანოვს, რომლის მამამაც ჩვენი საყვარელი ამხანაგი გრიგოლ დოლეტოვი გასცა და დაღუპა? ჩამოიცილეთ ანატოლ დოსიჩევიც, მას კეთილი განზრახვები როდი აქვს.

კომკავშირელებმა ერთმანეთს გადახედეს. ზოია რუხაძემ კი თავისთვის ჩაილაპარაკა:

— აკი მე ადრე ვთქვი მაგათ შესახებ...

— შეუმოწმებლად ნურავის შეიკედლებთ, ამხანაგებო, — განაგრძობდა ტყიდან ჩამოსული, — ათი თვალი და ათი ყური გამოიბით. საეჭვოებს ერიდეთ, ახლოს ნუ გაიკარებთ. ახლა თქვენ მეტად სერიოზული მუშაობა მოგელით. საჭიროა მოაწყოთ არალეგალური სტამბა ფურცლების დასაბეჭდად...

— რადიომიმღები არა გვაქვს, ველარაფერს ვიგებთ, სანამ ტყიდან არ ჩამოგვიტანენ ფურცლებს, — შენიშნა რუხაძემ.

— რადიომიმღებს ჩამოგიტანთ, თქვენ მხოლოდ რაც შეიძლება მალე მოაწყეთ სტამბა. როგორც იცით, გერმანელებს საბჭოთა მეურნეობა „კრასნში“ სამხრო მასალის საწყობი აქვთ, თქვენ მოგენდოთ მისი აფეთქება. როგორც კი წითელი არმია შეტევითს ოპერაციებს დაიწყებს, უნდა გააფართოოთ თქვენი მოქმედების მასშტაბი, შეაგროვოთ იარაღი და მით შეაიარაღოთ თქვენი ორგანიზაციის ყველა წევრი.

კარი დააკაკუნეს. ხოხლოვის დედამ აცნობა შეკრებილთ, რომ ყირიმელი თათრის ქალი მირკა და მისი არშიყი ზონდერფიურერი ლინდერი ერთად კარგა ხანს იდგნენ ქუჩაში და უცბად გაუჩინარდნენ. სხდომის გაგრძელება საშიში იქნებოდა. პარტიზანთა შენაერთის წარმომადგენელმა წიგნაკებად აკინძული ფურცლები სათითაოდ ყველას დაურიგა და თან დააყოლა:

— „დიდი მიწიდან“ თვითმფრინავით ჩამოგვიტანეს. ეს პატარა მოთხრობაა კრასნოდონელ კომკავშირელთა გმირობაზე. წაიკითხეთ, გააცანით ამხანაგებსაც და ისე იმოქმედეთ, როგორც კრასნოდონელი კომკავშირელები ოლეგ კოშევოი, სერგეი ტიულენინი, ულიანა გრომოვა, ლიუბა შევცოვა და მათი ამხანაგები მოქმედებდნენ.

ტყიდან ჩამოსული ყველას გამოემშვიდობა, წარმატება უსურვა. და როდესაც ზოია რუხაძეს ხელი ჩამოართვა, ერთხანს შეჩერდა, თვალებში შეხედა და ღიმილით უთხრა:

— გავიგე ქართველი ყოფილხართ, მეხამოვნა. მეც ქართველი ვარ...

— თქვენც? — აღტაცებით შესძახა ზოიამ,— მერე და რა გვარი ხართ?

— გვარი რა საჭიროა? თქვენთვის სერგო მქვიან, როგორც პარტიზანს კი — „ქართველი დევგმირი“. რა ვქნა, ასე შემარქვეს... მართლა, ქართული ხომ იცით?

— სამწუხაროდ, არა. ქართველი ვარ და ქართული არ ვიცი. — ნაღვლიანად მიუგო ზოიამ.

— მერე და ვისი ბრალია?

— მამაჩემის.

— სად არის მამათქვენი?

— მე ის არ მახსოვს...

— ცოცხალი არ არის?

— არ ვიცი... არც დედამ იცის.

ქალიშვილს ცრემლები მოერია, ვეღარაფერი სთქვა. მხოლოდ ანთებული თვალებით შეხედა სერგოს და მცირე პაუზის შემდეგ თითქმის ჩურჩულით ჩაილაპარაკა:

— მამაჩემს მათე ერქვა. მე ვემდური, რომ ქართული არ ვიცი. მაგრამ მაინც ქართველი ვარ, ასე მიწერია კომკავშირულ ბილეთში...

სერგო ერთხელ კიდევ გამოემშვიდობა ამხანაგებს, გავიდა გარეთ და ხოხლოვების კარმიდამოდან გაუჩინარდა.

კომკავშირელებმა კიდევ დიდხანს ითათბირეს და გვიან ღამით ერთიმეორის გვერდით მიწვნენ, ახალი საბრძოლო დავალების მაღლებით გახარებულნი.

• • •

ყირიმში გაზაფხული ადრე იცის.

ჰიტლერელთა ოკუპაციის წლებში ყირიმის მოსახლეობა ბნელეთში იყო მოქცეული. მათთვის არც გაზაფხული იყო და არც ზამთარი. ენით გამოუთქმელ ტანჯვასა და დამცირებას განიცდიდნენ ფაშისტი ბარბაროსებისაგან. დღისითაც კი ერთმანეთთან მისვლა-მოსვლას ერიდებოდნენ. მაგრამ როდესაც „დიდი მიწიდან“ მნიშვნელოვან ამბავს გაიგებდნენ, მოზღვავებულ სიხარულს ველარ ფარავდნენ, ყველაფერს აკეთებდნენ, რათა სასიამოვნო ამბავი ყველა ჭეშმარიტ პატრიოტს გაეგო.

ყოველ ასეთ შემთხვევაში მათთვის ნამდვილი გაზაფხული დგებოდა, ისეთი გაზაფხული, როგორიც საერთოდ ყირიმში იცის: მზის ნათელი სხივებით, აყვავებულ ფერდობებზე გადაშლილი აიავარდით, დაბურულ იასამნის ტყეებში ფრინველთა გალაღებული ჭიკჭიკით...

— ჩვენებს პერეკოპი გადაულახავთ!

— კასა-ჩუშკიდან ქერჩის ნახევარკუნძულზეც გადმოსულან!...

ჩურჩულით ეუბნებოდნენ ერთმანეთს. სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში გადადიოდნენ და ავრცელებდნენ ამ სასიხარულო ამბავს.

მტრის რიგებში თანდათანობით პანიკა იკიდებდა ფეხს. მოსახლეობის წინაშე არ ამჩნევდნენ ამას, უფრო სასტიკნი და ულმობელნი ხდებოდნენ, უბრალო სიცილზეც კი გესტაპოს ჯურღმულებში ჰყრიდნენ საბჭოთა პატრიოტებს. არ ინდობდნენ მოხუცებსა და ბავშვებს, ავადმყოფებსა და ქალებს.

ფარული პარტიული ცენტრი ხელმძღვანელობდა მთელ პარტიზანულ მოძრაობას ყირიმში. ამ ცენტრს მჭიდრო კავშირი ჰქონდა დამყარებული უკრაინის მეოთხე ფრონტის სარდლობასთან, რომელიც პერეკოპის კარიბჭესთან საიერიშო ზღუდეზე იყო, ასეთივე კავშირი ჰქონდა ცალკე ზღვისპირეთის არმიის სარდლობასთან, რომელსაც საიერიშო ბრძანების მოლოდინში ქერჩის ნახევარკუნძულზე ხელსაყრელი პოზიციები ეკავა.

საბჭოთა თვითმფრინავები ყირიმის ხშირი „სტუმრები“ გახდნენ. დღისით და ღამით ერტყამდნენ მტრის კომუნიკაციებს, მოსახლეობის გასამხნევებლად ჰყრიდნენ ფურცლებს, რომლებიც საბჭოთა პატრიოტებს მოუწოდებდნენ:

„არ დაინდოთ ჰიტლერელები და მათი რუმინელი დამქაშები. გააძლიერეთ მტრისადმი ულმობელი დარტყმა. მოშალეთ მისი კომუნიკაციები, ააფეთქეთ გზები და ხიდები, არ მისცეთ მტერს ორგანიზებულად უკან დახევის საშუალება, ჩვენ მალე მოვალთ, საყვარელო ძმებო და დებო!...“

პარტიზანული ომის ხანძარი მასობრივად მოედო ყირიმის ქალაქებსა და სოფლებს. პარტიზანების შიშით ჰიტლერელებმა დაიწყეს ყირიმის მთელი რიგი სოფლებს გადაწვა, უდანაშაულო ადამიანთა ემოწყალოდ ჟლეტა.

ყირიმის ფარული პარტიული ცენტრი აქტიურად მოქმედებდა. იგი მოუწოდებდა არალეგალურად მომუშავე ჯგუფებს და ცალკეულ ამხანაგებს — გაეძლიერებინათ სიფხიზლე. გამარჯვება კარზე იყო მომდგარი. თვითეული ოპერაციის დროს გონივრული მოქმედება იყო საჭირო. პარტიული ცენტრი ახალგაზრდა პარტიზანებისაგან მეტ სიფრთხილეს მოითხოვდა, რომლებიც სიმფეროპოლსა და მის გარეუბნებში მოქმედებდნენ, მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში გმირობისა და თავგანწირვის შესანიშნავ მაგალითებს იძლეოდნენ.

• • •

სიმფეროპოლის ქუჩებში გაჩნდა ნაბეჭდი ფურცლები მოსახლეობისადმი მოწოდებებით. გერმანელთა გენერალს პუშკინის ქუჩაზე მანქანაში ბომბი ესროლეს. ქალაქის თვითმმართველობის შენობის თავზე წითელი დროშა აფრიალეს, საბჭოთა მეურნეობა „კრასნში“ გერმანელთა იარაღის საწყობი ააფეთქეს. მასობრივ მოვლენად გადაიქცა გერმანელა პატრულების „დაკარგვა“ ღამით.

აქტიურად და უშიშრად მოქმედებდნენ კომკავშირელები. ზოია რუხაძემ მიიღო მონაწილეობა „კრასნში“ მტრის სამხრო მასალის აფეთქებაში, მან გაიტყუა ერთი გერმანელი ლეიტენანტი ქალაქგარეთ ღამით და ამხანაგების დახმარებით მოუღო ბოლო. ზოია კრასნოდონელთა მაგალითისამებრ არ ერიდებოდა არავითარ ხიფათს და ტყვე წითელარმიელებისათვის მოსახლეობაში აგროვებდა ტანსაცმელს, სურსათ-სანოვაგეს და ნორჩი პარტიზანების მეშვეობით აწვდიდა მათ...

ერთხელ, ქართველ პარტიზან სერგოსთან შეხვედრის დროს ზოიამ უთხრა მას:

— გამარჯვების შემდეგ აუცილებლად ვინახულებ საქართველოს. ის ხომ ჩემი სამშობლოა? არ გეგონოთ, რომ ქართველი ხალხის ცხოვრებას არ ვიცნობდე. ბევრი რამ წამიკითხავს, დედასაც უამბნია. ამბობენ ყირიმს ჰგავსო. მე მჯერა. მაგრამ საქართველოში სულ სხვა რამ მიზიდავს... ჩვენი საყვარელი ბელადის სახლი გორში. გინახავთ თქვენ დიდი სტალინის სახლი გორში? რა ბედნიერი ხართ!... ამბობენ პატარა დერეფნიანი სახლიაო, კოხტად მორთული ოთახით. ყველა ნივთი სტალინის ბავშვობის დროინდელი, რაც მის დედას ეკატერინეს ჰქონია შენახული... გამარჯვების შემდეგ აუცილებლად გესტუმრებით, ამხანაგო სერგო, საქართველოში და თქვენთან ერთად ვინახულებ გორს, სანატრელ გორს, დიდი სტალინის სამშობლო ქალაქს!...

გამარჯვება კარზე იყო მომდგარი. ზოია რუხაძის სურვილი ასრულდებოდა, რომ გესტაპოს აგენტებს დოსიჩევს და მისებრ მოღალატეებს არ გაეცათ არალეგალური კომკავშირული ორგანიზაციის ხელმძღვანელი ამხანაგები.

1944 წლის 10 მარტს ფარულად მომუშავე კომკავშირელთა შტაბის მთელი შემადგენლობა დააპატიმრეს. და როდესაც წითელი არმიის ნაწილებმა მედგარი დარტყმებით გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვის სიმაგრეები პერეკოპის ყელზე და ქერჩის ნახევარკუნძულზე, გესტაპოს ჯურღმულებში მხეცურად ნაწამები ზოია რუხაძე და მისი ამხანაგები ცოცხლად ჩაჰყარეს საბჭოთა მეურნეობა „კრასნის“ ტერიტორიაზე სამოც მეტრიანი სიღრმის ჭებში.

ეს მოხდა სიმფეროპოლის განთავისუფლების ხუთი დღით ადრე, 1944 წლის 10 აპრილს.

დღეს ამ ჭების თავზე აღმართულია აქ დაღუპულ კომკავშირელთა ძეგლი... სამარადისო დიდება მათ!..

არჩილ კოკილაშვილი

ისინი ათასობით არიან

ვიწრო ხეობიდან მოვარდნილი ქარი გულშემზარავად ღმუოდა თვალდაუწვდენ ხევებში, ნაპრალებში, მათ ყრუდ ეხმაურებოდა შიშველი კლდეები, მიუკარებელი მყინვარიც ტყვიისფერ ქარბუქში იყო გახვეული.

ხუთ ნაბიჯზე კაცი ვერაფერს შეამჩნევდა. მებრძოლები ძლივს მიარღვევდნენ ნამქერს ლითონის წრიაპებით, გათოშილი თოკებით ადიოდნენ მაღლა. გერმანელები ეს ორი დღეა აცოცდნენ იქ და უღელტეხილისაკენ მიმავალი ერთადერთი ბილიკი გადასჭრეს. საბჭოთა მებრძოლების ჯგუფს სერჟანტ შამილ მაისურაძის ხელმძღვანელობით ნაბრძანები ჰქონდა მტრისაგან გაეწმინდა ეს ბილიკი...

მაისურაძის გამჭრიახმა თვალმა ქვემოთ ყინვისაგან მოკრუნჩხული გერმანელი შენიშნა.

— სიკვდილი მტერს! — უცბად შესძახა მან. უმალვე ამოქმედდნენ გრანატები და ქვები, მტრის საფარისაკენ დაექანა მთიდან მოგლეჯილი ზვავიც და ფაშისტების ერთი საცეცხლე წერტის მეავტომატეები უფსკრულში დაასამარა. სულ რაღაც ათ ნაბიჯზე გერმანელთა მეორე ჯგუფმა ავტომატი აატკაცუნა. მაისურაძის ერთი მებრძოლი განგმირული დაეცა, სერჟანტი თვალის დახამხამებაში დააფრინდა ბეწვიან ქურქში გახვეულ გერმანელ ოფიცერს, რკინის ხელებით მოახრჩო. სერჟანტს მარტო მოუხდა მოქმედება დანარჩენი ექვსი გერმანელი ჯარისკაცის წინააღმდეგაც.

საბჭოთა არმიის მებრძოლი ლომივით ტრიალებდა, სატევრით ჩეხდა მტერს.

მესამედ რომ დაიჭრა, თოვლზე დაეცა, მკერდიდან სისხლი თქრიალით გადმოსდიოდა, სული ეხუთებოდა... მას ჯუჯა ფრიცი მიუახლოვდა და რევოლვერის ლულა გულზე მიაბჯინა.

— არ გაბედო განძრევა, — დასძახა და ჯიბის ღილი შეუხსნა, სიხარულით აევსო ბოროტი თვალები, — ეს რა დოკუმენტია? ა?

დაჭრილმა თავი ოდნავ წამოსწია.

— დაიხარე და გეტყვი. — გაახსენდა ფრონტზე წასვლის წინ დედის ნათქვამი: ვაჟკაცი სადაც შერცხვება, მისი სამარეც იქ არისო. სერჟანტმა უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და ეცა მტერს. გაიმართა ორთა ბრძოლა, ძირს ჩაგორდნენ, ბოლოს მაისურაძემ სძლია, სატევარი გვერდში გაურჭო ფრიცს...

როცა თავისი მებრძოლებისაკენ აიხედა, დაინახა როგორ ჩაჭოლეს მათ დარჩენილი სამი გერმანელი ჯარისკაცი...

დასუსტებული მარჯვენით ჯიბე მოიშინჯა. მილულულ თვალებში ღიმილი შეეპარა.

— კვლავ აქ არის ყველაზე ძვირფასი, საყვარელი დოკუმენტი.

ძლივს ამოიღო ლენინის პორტრეტიანი, სისხლით შეღებილი კომკავშირული ბილეთი, გულში მაგრად ჩაიხუტა.

— არც ერთი ნაბიჯი უკან!—წაიჩურჩულა.

• • •

დალეწილი ბრანდერბურგის კარის გამოვლით ომგადახდილი შამილ მაისურაძე, ნატყვიარი კომკავშირული ბილეთით მშობლიურ 26 კომისრის სახელობის ქარხნის ამწყობ საამქროს დაუბრუნდა.

იმ დღიდან სტახანოვურად შრომობს.

ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXX წლისთავის აღსანიშნავად ახალგაზრდა პატრიოტი ყოველდღიურ დავალებას 400 პროცენტით ასრულებს. სახელოვანმა მებრძოლმა შრომის ფრონტზეც სახელოვანი გამარჯვება მოიპოვა: ხუთწლიანი გეგმა შეასრულა.

საამქროს კომკავშირული ორგანიზაციის მდივანმა, სახელმოხვეჭილმა სტახანოველმა შ. მაისურაძემ დარაზმა, თან გაიყოლია კომკავშირელები: ს. დანგიაშვილი, ნ. თეთრაძე, ს. ხაჩიძე, გ. კარპენკო და სხვ. ისინი სტახანოვურ განრიგს ყოველდღე სამასი პროცენტით ასრულებენ.

სასახელოა: უშუალოდ დაზგასთან მომუშავე ყველა 50 კომკავშირელი მოწინავე სტახანოველია.

• • •

ამწყობი საამქროს კორპუსი მქუხარე ოვაციამ შეარხია.

ლენინურ-სტალინური კომკავშირის XXX წლისთავის აღსანიშნავად ქარხნის ადმინისტრაციამ საპატიო სიგელი გადასცა 16 ახალგაზრდას. პირველი საპატიო სიგელი გადაეცა თავდადებულ პატრიოტს კომკავშირელ შამილ მაისურაძეს!

განა ერთია აქ ასეთი?

ბრძოლაში და შრომის ფრონტზე სახელმოხვეჭილი ახალგაზრდები მრავლად არიან ამ ქარხანაში, ისინი ასობით და ათასობით არიან ჩვენი უძლეველი სამშობლოს ყოველ კუთხეში.

აკ. გოცირიძე



სოციალისტური შრომის გმირი კომკავშირელები: (მარცხნიდან) ქვემოდან ზევით: რ. ბერიძე (ხულოს რაიონი), მ. არკანია (გალის რაიონი), ჩ. ჯობავა (გალის რაიონი), რ. სარუა (გალის რაიონი), ბ. უფუნია (ზუგდიდის რაიონი), ვ. გოგოლაძე (ლაგოდეხის რაიონი), ე. მიქვაბია (ოჩამჩირის რაიონი).

ფოტო ვლ. გინზბურგისა

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მესამე სესია

დღის წესრიგშია საბერძნეთის საკითხი

პარიზი, 25 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). პოლიტიკურმა კომიტეტმა ერთი კვირით გადასდო პალესტინაში შექმნილი მდგომარეობის საკითხის განხილვა და დღეს შეუდგა საბერძნეთის საკითხის განხილვას, რომელსაც თავისი ხანგრძლივი ისტორია აქვს.

ჯერ კიდევ 1946 წლის იანვარში სსრ კავშირის დელეგაციამ უშიშროების საბჭოს ყურადღება მიაპყრო იმ ფაქტს, რომ დიდმა ბრიტანეთმა, რომელიც უხეშად ერევა საბერძნეთის საშინაო საქმეებში, თავისი ჯარები შეიყვანა საბერძნეთის ტერიტორიაზე, დაეხმარა ბერძენ მონარქისტ ფაშისტებს ხელში ჩაეგდოთ ძალაუფლება და დაეწყოთ დემოკრატიული ძალების დათრგუნვა. ინგლის-ამერიკის უმრავლესობამ უშიშროების საბჭოში არ მიიღო გადაწყვეტილება, რომელიც უზრუნველჰყოფდა საბერძნეთის საშინაო საქმეებში დიდი ბრიტანეთის შეიარაღებული ჩარევის შეწყვეტას და ინგლისის ინტერვენცია შეუფერხებლად გრძელდებოდა. მიუხედავად ამისა, ბერძენმა მონარქისტ ფაშისტებმა, რომლებიც ბრიტანეთის ხიშტს ეყრდნობოდნენ და საბერძნეთში სისხლიანი ტერორის რეჟიმი დაამყარეს, ვერ გასტეხეს საბერძნეთის დემოკრატიული ძალები. ეს ძალები არალეგალურად განაგრძობდნენ ბრძოლას თავიანთი ქვეყნის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის.

1947 წელს საბერძნეთში ინგლისის ჩაფუშული პოლიტიკის მემკვიდრეთა როლი იკისრეს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, სრულ კმაყოფაზე აიყვანეს ბერძენი მონარქისტები.

ცდილობდა რა როგორმე გაემართლებინა ამერიკის შეერთებული შტატების უხეში ჩარევა საბერძნეთის საშინაო საქმეებში, ამერიკის დელეგაციამ გენერალური ასამბლეის წარსულ სესიაზე აურზაური ასტეხა იმის გამო, რომ... პოლიტიკურ დამოუკიდებლობასა და ტერიტორიულ მთლიანობას თითქოს ემუქრებიან საბერძნეთის ჩრდილო მეზობლები—ალბანეთი, ბულგარეთი, იუგოსლავია. საბერძნეთის საკითხის განხილვის პროცესში, რაც დაახლოებით სამ კვირას გაგრძელდა, სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებმა ჩაშალეს ეს მანევრი და მთელ მსოფლიოს დაანახვეს, რომ საბერძნეთის საქმეებში ჩარევას ნამდვილ მიზეზს წარმოადგენენ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, რომელთა მოქმედება საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და უშიშროებას ბალკანეთში. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციები იძულებული გახდნენ მოეხსნათ მათ მიერ თავდაპირველად წამოყენებული პირდაპირი ბრალდებანი საბერძნეთის ჩრდილო მეზობელთა წინააღმდეგ, თითქოს ისინი საფრთხეს უქმნიდნენ საბერძნეთის მთლიანობასა და დამოუკიდებლობას. მაგრამ მათ გაიყვანეს გადაწყვეტილება ეგრეთწოდებული „ბალკანეთის კომისიის" შექმნის შესახებ. რომელსაც ამერიკულმა პრესამ მაშინვე მრავალმნიშვნელოვნად უწოდა „ბალკანეთის ნაგაზი". ეს „ნაგაზი" იცავდა და შეძლებისდაგვარად ხელს უწყობდა საბერძნეთის საქმეებში ინგლის-ამერიკის ჩარევას.

და აი გავიდა კიდევ ერთი წელიწადი. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივან მარშალს, რომელიც ამას წინათ ტრუმენის პირადი თვითმფრინავით ათენს ჩაფრინდა ასამბლეის ახლანდელ სესიაზე საბერძნეთის საკითხის განხილვის დაწყების წინ, შესაძლებლობა მიეცა დარწმუნებულიყო, რომ საბერძნეთში ინგლის-ამერიკის ინტერვენტების საქმე ამ ერთი წლის განმავლობაში არათუ არ გაუმჯობესდა, არამედ კიდევაც გაუარესდა.

ამასთან დაკავშირებით უნდა მოველოდეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების დელეგაცია შეეცდება გენერალური ასამბლეის ახლანდელ სესიაზე საბერძნეთის საკითხის განხილვა გამოიყენოს ახალი დემაგოგიური აურზაურის ასატეხად, თითქოს საბერძნეთის ტერიტორიულ მთლიანობასა და პოლიტიკურ დამოუკიდებლობას საფრთხე მოელოდეს საბერძნეთის ჩრდილო მეზობლების მხრივ.

ეს ტენდენცია გამოაშკარავდა პოლიტიკური კომიტეტის დღევანდელი სხდომის დაწყებისთანავე. ცდილობდნენ რა ხელი შეეშალათ საბერძნეთის საკითხის ყოველმხრივი და ობიექტური განხილვისათვის და საბერძნეთის ჩრდილო მეზობელთა გასამართლების კომედიად გადაექციათ კომიტეტის სხდომა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციები წინააღუდგნენ წინადადებას იმის შესახებ, რომ ალბანეთისა და ბულგარეთის წარმომადგენელნი მიეწვიათ კომიტეტში გამართულ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად, როგორც დისკუსიის მონაწილე მეთვალყურენი. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგატები დაჟინებით მოითხოვდნენ, ამ ქვეყნების წარმომადგენელნი კომიტეტის სხდომებზე მხოლოდ იმისათვის დაეშვათ, რომ მათ გაეკეთებინათ საერთო განცხადება საბერძნეთის საკითხზე და პასუხი გაეცათ მათთვის მიცემულ შეკითხვებზე ისე, რომ მათ არ ჰქონოდათ საერთო დისკუსიაში მუდმივი მონაწილეობის უფლება.

ბულგარეთისა და ალბანეთის უფლებათა არაკანონიერი შეზღუდვის ასეთი ცდის წინააღმდეგ გაილაშქრა სსრ კავშირის დელეგატმა ა. ე. ბოგომოლოვმა. მან მოაგონა სხდომას, რომ პალესტინის საკითხის განხილვისას დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად, როგორც მეთვალყურენი, მიწვეული იყვნენ არაბთა უმაღლესი კომიტეტისა და ებრაული სააგენტოს, ე. ი. არამთავრობის ორგანიზაციების წარმომადგენელნი, მით უფრო არ მოიპოვება იმის საფუძველი, რომ შეიზღუდოს დისკუსიაში ისეთ სუვერენულ სახელმწიფოთა მთავრობების წარმომადგენელთა მონაწილეობა, როგორიც არიან ბულგარეთი და ალბანეთი.

პოლონეთის დელეგატმა კაც-სუხიმ აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისს ეშინიათ იმის შესაძლებლობა მისცენ ალბანეთსა და ბულგარეთს, რომ თავისუფლად გამოსთქვან თავიანთი აზრი საბერძნეთში შექმნილი მდგომარეობის შესახებ.

რაკი ვერ შესძლეს გაებათილებინათ სსრ კავშირის, უკრაინისა და ბელორუსიის დელეგატების მიერ მოყვანილი მოსაზრებანი, ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის დელეგაციებმა, როგორც მათ ასეთ შემთხვევებში სჩვევიათ, აამუშავეს კენჭისყრის თავიანთი მორჩილი მანქანა. წინადადება კომიტეტში გამართულ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად ალბანეთისა და ბულგარეთის წარმომადგენლების, როგორც მეთვალყურეების, დაშვების შესახებ უარყოფილ იქნა 28 ხმით 6 ხმის წინააღმდეგ, თავი შეიკავა 15 დელეგატმა. ამრიგად, ეს წინადადება უარყოფილ იქნა ყველა ხმის ნახევარზე ნაკლებით.

შემდეგ დაახლოებით ამდენივე ხმით მიღებულ იქნა ამერიკის შეერთებული შტატების წინადადება, რომ კომიტეტმა მოისმინოს ალბანეთისა და ბულგარეთის წარმომადგენელთა განცხადებანი და რომ მათი მონაწილეობა დისკუსიაში განისაზღვროს მხოლოდ მათთვის მიცემულ შეკითხვებზე გაცემული პასუხით.

შემდეგ კომიტეტი გადავიდა იუგოსლავიის დელეგაციის წინადადების განხილვაზე, რომ პოლიტიკურ კომიტეტში მოწვეულ იქნას საბერძნეთის დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენელი მარკოსი, რათა კომიტეტმა სასარგებლო ინფორმაცია მიიღოს საბერძნეთში არსებული მდგომარეობის შესახებ.

ჯერ კიდევ სანამ კომიტეტის სხდომა გაიხსნებოდა, დელეგატებს მაგიდაზე დახვდათ ბროშურა, რომელიც შეიცავს საბერძნეთის დემოკრატიული მთავრობის მიმართვას დელეგატებისადმი. მაგრამ მათ ვერ შესძლეს გასცნობოდნენ ამ ბროშურას, რადგან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნოს მოსამსახურემ აალაგა და ზოგიერთ დელეგატს ხელიდანაც კი გამოჰგლიჯა ეს ბროშურები.

როგორც მოსალოდნელი იყო, საბერძნეთის დროებითი დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენლის მიწვევის წინადადების წინააღმდეგ გამოვიდა საბერძნეთის წარმომადგენელი.

უმაგალითო უხეში ფორმით გაილაშქრა საბერძნეთის დროებითი დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენლის მიწვევის წინადადების წინააღმდეგ ბრიტანეთის დელეგატმა მაკნეილმა. მას არცერთი საგულისხმო მოსაზრება არ წამოუყენებია ასეთ მიწვევაზე უარის თქმის გასამართლებლად და მოჰყვა ამ მთავრობისა და გენერალ მარკოსის საზიზღარ ლანძღვა-გინებას. მაკნეილმა სრულიად დაჰკარგა თავშეკავების უნარი და ნება მისცა თავს „ბანდიტ" და „პირატ" ეწოდებინა გმირულ მარკოსისათვის, რომელმაც, როგორც საბერძნეთის დამოუკიდებლობისათვის და ბერძენი ხალხის დემოკრატიული უფლებებისათვის აქტიურმა მებრძოლმა გმირმა ფართო პოპულარობა მოიპოვა.

ბრიტანეთის დელეგატის უხამს გამოხდომას, რამაც მძიმე შთაბეჭდილება მოახდინა ყველა დამსწრეზე, საკადრისი პასუხი გასცა სსრ კავშირის დელეგატმა ბოგომოლოვმა.

ჩვენ, სთქვა მან, შევუდექით საბერძნეთის საკითხის შესწავლას, აშკარაა, არა უბრალო ცნობისმოყვარეობის გამო. ჩვენი ამოცანაა შევისწავლოთ, თუ რა ვითარებაა ბალკანეთის ამ ნაწილში და შევეცადოთ გამოვძებნოთ საშუალება, თუ როგორ შევუწყოთ ხელი ბალკანეთში მშვიდობის განმტკიცებას. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია მხარი დავუჭიროთ იუგოსლავიის დელეგაციის წინადადებას, რადგან ეს დაგვეხმარება საკითხის ყოველმხრივ და ობიექტურ შესწავლაში. ეს შეუწყნარებელი უხეშობა და გაავება, რომლითაც მაკნეილი თავს დაესხა მარკოსის მთავრობას, საეჭვოა, სასარგებლო იყოს იმ საკითხის განხილვისას, რომელიც ჩვენი მსჯელობის საგანს შეადგენს.

საბჭოთა დელეგატმა აღნიშნა, რომ პალესტინის საკითხის განხილვის დროს მოწვეული იყვნენ არამარტო მთავრობის, არამედ არამთავრობის ორგანიზაციებიც და რომ ასე უნდა მოხდეს ამჟამადაც; თუ გვსურს სწორი გადაწყვეტა გამოვნახოთ და არ მივმართოთ უხეშ, უშვერ სიტყვებს, რაც დაუშვებელია ისეთი სერიოზული ორგანიზაციის მუშაობაში, როგორიცაა გენერალური ასამბლეა.

პოლონეთის დელეგატმაც აღნიშნა იმ საშუალებათა შეუწყნარებლობა, რომელთაც მიმართა ბრიტანეთის დელეგატმა, როცა სცადა არგუმენტების უქონლობა აენაზღაურებინა უამრავი სალანძღავი სიტყვებით. პოლონეთის დელეგატმა სთქვა, რომ ბრიტანეთის დელეგატს ტყუილად უჭირავს თავი ისე, თითქოს არ იცოდეს, თუ ვინ არის მარკოსი და რას წარმოადგენს საბერძნეთის დროებითი დემოკრატიული მთავრობა.

კომიტეტში გამართულ დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებად საბერძნეთის დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენლის მიწვევის საკითხის განხილვა გადატანილია ხვალინდელ დილის სხდომაზე.

უშიშროების საბჭოში

პარიზი, 25 ოქტომბერი. (საკდესის სპეც. კორ.). უშიშროების საბჭოს დღევანდელ სხდომაზე კენჭის საყრელად დაისვა რეზოლუციის პროექტი ეგრეთწოდებულ ბერლინის საკითხზე. რომელიც საბჭოს ექვსმა წევრმა—არგენტინის, ბელგიის, კანადის, ჩინეთის, კოლუმბიისა და სირიის წარმომადგენლებმა შეიტანეს. ეს პროექტი მიღებულ არ იქნა, ვინაიდან სსრ კავშირის წარმომადგენელმა, რომელიც უშიშროების საბჭოს მუდმივი წევრია, ხმა მისცა მის წინააღმდეგ. წესდების 27-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, საბჭოს მიერ საკითხთა არსზე გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ხუთივე მუდმივი წევრის—სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და ჩინეთის ერთხმივობა.

პროექტი შეიცავდა გერმანიის მაოკუპირებელი ოთხი სახელმწიფოს მთავრობებისადმი მიმართვას თხოვნით — ერთდროულად ჩაატარონ შემდეგი ღონისძიებანი:

ა) დაუყოვნებლივ მოხსნან ყველა მხარის მიერ ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ვაჭრობის ყველა შეზღუდვა ბერლინსა და გერმანიის დასავლეთ ზონებს შორის და ტრანსპორტისა და ვაჭრობის შეზღუდვა გერმანიის ოკუპაციის საბჭოთა ზონასა და ოკუპაციის დასავლეთ ზონებს შორის. ამასთან მხედველობაში იყო მიღებული ის შეზღუდვანი, რომლებიც მხარეებმა 1948 წლის 1 მარტის შემდეგ შემოიღეს;

ბ) დაუყოვნებლივ მოიწვიონ ოთხი სამხედრო სარდლის თათბირი ბერლინში საბჭოთა ზონის გერმანული მარკის ბაზაზე ვალუტის უნიფიკაციის შესახებ შეთანხმების მისაღწევად.

ამრიგად, რეზოლუციის ტექსტიდან გამოდის, რომ დაუყოვნებლივ უნდა გაუქმდეს ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ვაჭრობის შეზღუდვა ბერლინსა და დასავლეთ ზონებს შორის, რაც, როგორც ცნობილია, საბჭოთა სამხედრო ხელისუფლებმა გერმანიაში შემოიღეს როგორც ღონისძიებანი საბჭოთა ეკონომიკის დასაცავად ფულის იმ სეპარატული რეფორმის შედეგთაგან, რაც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა განახორციელეს ოკუპაციის დასავლეთ ზონებსა და ბერლინის დასავლეთ სექტორებში. რაც შეეხება მთელ ბერლინში საბჭოთა ზონის გერმანული მარკის შემოღებას, ეს საკითხი, რეზოლუციის პროექტის თანახმად, მხოლოდ განხილულ უნდა იქნას მთავარსარდლების თათბირზე ამასთან არ არსებობს არავითარი გარანტია, რომ გერმანიის დასავლეთი ზონების სარდლები არ დაიკავებენ იმავე პოზიციას, რომელიც მათ ეკავათ ამა წლის სექტემბერში მოლაპარაკების დროს და რომლის შედეგადაც ეს მოლაპარაკება ჩაიშალა.

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ საკითხის ასეთი დაყენება ეწინააღმდეგება 30 აგვისტოს მოსკოვში ოთხი მთავრობის შეთანხმებულ დირექტივას გერმანიაში საოკუპაციო ჯარების ოთხი მთავარსარდლისათვის ამ დირექტივაში პირდაპირ იყო აღნიშნული. რომ ერთდროულად უნდა განხორციელდეს შემდეგი ღონისძიებანი:

ა) ბერლინსა და დასავლეთ ზონებს შორის კავშირგაბმულობის, ტრანსპორტისა და ვაჭრობის შეზღუდვანი, აგრეთვე ტვირთის მოძრაობა გერმანიის საბჭოთა ზონისაკენ და ზონიდან, რომლებიც შემოღებულია უკანასკნელ დროს, მოხსნილ იქნება. ბ) საბჭოთა ზონის გერმანული მარკა შემოღებულ იქნება ბერლინისათვის ერთადერთ ვალუტად და დასავლეთა მარკა „ბ" ამოღებულ იქნება ბერლინში მიმოქცევიდან.

ამრიგად, რეზოლუციის პროექტის ავტორები აშკარად ვარაუდობდნენ გაეტარებინათ ისეთი ფორმულა, რომელიც დაარღვევს 30 აგვისტოს დირექტივას, იგი ნიშნავს უკან გადადგმულ ნაბიჯს მოსკოვში 30 აგვისტოს ოთხი სახელმწიფოს მიერ მიღწეულ შეთანხმებასთან შედარებით. არსებითად რეზოლუციის პროექტის ავტორები ამით ცდილობდნენ ოთხმხრივი მოლაპარაკების წინასწარი პირობის სახით საბჭოთა კავშირისათვის თავს მოეხვიათ შეზღუდვათა დაუყოვნებლივ გაუქმება.

ეს იმდენად ცხადი იყო, რომ ბევრმა ფრანგულმა გაზეთმა უმალვე ამხილა რეზოლუციის პროექტის ფარისევლობა და სიყალბე.

მაგრამ ამ შემთხვევაში სახარბიელო როლი როდი უკისრიათ უშიშროების საბჭოს ეგრეთწოდებულ „ნეიტრალურ" წევრებს. მართლაც, რეზოლუციის ისეთი პროექტის შეტანით, რომელიც სანქციას მისცემდა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა დარღვევას, პროექტის ავტორები ცდილობდნენ უშიშროების საბჭოს მფარველობაში დაეყენებინათ ისინი, ვინც საერთაშორისო შეთანხმებებს არღვევს. ეს პროექტი რომ მიღებული ყოფილიყო, უშიშროების საბჭო გამოვიდოდა იმ ორგანოს როლში, რომელიც ფაქტიურად აქეზებს საერთაშორისო შეთანხმებათა დარღვევას. ამით უშიშროების საბჭო ძირს გამოუთხრიდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ძირითად პრინციპებს, ორგანიზაციისა, რომელიც მოწოდებულია დაიცვას საერთაშორისო შეთანხმებათა ავტორიტეტი და ურყევლობა.

როცა ბერლინის საკითხში ეგრეთწოდებული „ნეიტრალური" ქვეყნების წარმომადგენლებმა რეზოლუციის ასეთი პროექტი შეიტანეს, ისინი მოიქცნენ როგორც ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის უხეირო ადვოკატები.

და თვით რეზოლუციის პროექტს აზის დამღა „გაკეთებულია ამერიკის შეერთებულ შტატებში". ეს საბოლოოდ ცხადი გახდა დღეს, როცა ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლებმა უსიტყვოდ მოიწონეს რეზოლუციის პროექტი.

ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და საფრანგეთის წარმომადგენლები ქება-დიდებას ასხამდნენ ამ პროექტს, ფარისევლურად ცდილობდნენ საქმე ისე დაესახათ, თითქოს პროექტი კომპრომისული ხასიათისა იყოს და თითქოს იგი უზრუნველჰყოფდეს... შეზღუდვათა შეწყვეტისა და ბერლინში დასავლეთი „ბ" მარკის საბჭოთა ზონის გერმანული მარკით შეცვლის ერთსა და იმავე დროს განხორციელებას.

ამ მტკიცებათა სიყალბე გამოაშკარავა სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ი. ვიშინსკიმ. მან კვლავ დაადასტურა, რომ უშიშროების საბჭოს მიერ ბერლინის საკითხის განხილვა წესდების დარღვევაა. შემდეგ ვიშინსკიმ ცხადჰყო, რომ რეზოლუციის პროექტი აშკარად ეწინააღმდეგება 30 აგვისტოს მიღწეულ ოთხი მთავრობის შეთანხმებას. მან აღნიშნა აგრეთვე, რომ რეზოლუციის პროექტი არსებითად შეიცავს ცდას თავს მოახვიონ საბჭოთა კავშირს მოთხოვნა კომუნიკაციების შეზღუდვათა მოხსნის შესახებ, როგორც ბერლინში ვალუტის საკითხზე ოთხი მთავარსარდლის მოლაპარაკების წინასწარი პირობა. ამ მოთხოვნას საბჭოთა კავშირი ვერ მიიღებს. იგი საბჭოთა კავშირმა ჯერ კიდევ ივლისში უარჰყო. ამის შემდეგ ოთხმა სახელმწიფომ შეთანხმებას მიაღწია მთავარსარდლებისათვის მიცემული დირექტივის სახით, რომელიც ითვალისწინებდა, რომ შეზღუდვათა მოხსნა და ბერლინში „ბ" დასავლეთი მარკის საბჭოთა ზონის გერმანული მარკით შეცვლა ერთსა და იმავე დროს უნდა მომხდარიყო. რეზოლუციის პროექტი კი, რომელიც ახლა შემოაქვთ,—სთქვა ვიშინსკიმ,—უკან გვწევს. ამიტომ საბჭოთა დელეგაცია რეზოლუციის ასეთი პროექტის წინააღმდეგ მისცემს ხმას.

ცდილობდა რა შეესუსტებინა საბჭოთა დელეგაციის მეთაურის განცხადებით შექმნილი შთაბეჭდილება, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა ჯესეპმა უმალვე გაიმეორა თავისი ძველი დაუსაბუთებელი მტკიცება, თითქოს საბჭოთა შემზღუდველი ღონისძიებანი საფრთხეს უქმნიდნენ მშვიდობასა და უშიშროებას. რა კი ვერ შესძლო გაებათილებინა ის აშკარა ფაქტი, რომ მოსკოვში 30 აგვისტოს მიღწეული შეთანხმება ითვალისწინებს შეზღუდვათა მოხსნისა და ბერლინში „ბ" დასავლეთი მარკის საბჭოთა ზონის გერმანული მარკით შეცვლის ერთსა და ამავე დროს განხორციელებას, ჯესეპი შეეცადა საეჭვოდ გაეხადა ეს შეთანხმება.

საგულისხმოა რეზოლუციის პროექტის კენჭისყრის წინ არგენტინის წარმომადგენლის უშიშროების საბჭოში თავმჯდომარის ბრამუგლიას გამოსვლა. ბრამუგლიამ განაცხადა, რომ არგენტინის დელეგაცია ხმას მისცემს ამ პროექტს, რადგან იგი იმ აზრით ესმის, რომ ერთსა და იმავე დროს უნდა მოხდეს შეზღუდვათა მოხსნა და ბერლინში საბჭოთა ზონის გერმანული მარკის, როგორც ერთიანი საგადამხდელო საშუალების დაუყოვნებლივ შემოღება.

მაგრამ სწორედ ამას არ შეიცავდა წარდგენილი პროექტი. თავიდან აიცილა რა რეზოლუციის ამ პროექტის მიღება, საბჭოთა დელეგაციამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო მთელი მსოფლიოს წინაშე. რომ იგი დგას მშვიდობისა და უშიშროების სადარაჯოზე, რომ იგი თანმიმდევრულად და მტკიცედ იცავს იმ საფუძვლებს, რომლებსაც ემყარება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, რომ იგი არა სიტყვით, არამედ საქმით ემხრობა საერთაშორისო შეთანხმებათა და ვალდებულებათა ზუსტად დაცვას.

უოლესის გამოსვლა ატომის ენერგიის საკითხზე

ნიუ-იორკი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). გუშინ ატომის ენერგიის საკითხზე რადიოთი სიტყვა წარმოსთქვა ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტობის კანდიდატმა უოლესმა, რომელმაც მოითხოვა, რომ ატომის საწარმოები გადაცემულ იქნას საზოგადოებრივ მფლობელობაში და ატომის ენერგიის საქმე განვითარდეს სამშვიდობო მიზნებისათვის მან აგრეთვე მოითხოვა, რომ შეერთებულმა შტატებმა შესწყვიტონ ატომის ენერგიის „ომის საშიში პროვოკაციისათვის" გამოყენების ახლანდელი პოლიტიკა. ილაპარაკა რა ტრუმენის პოლიტიკაზე ატომის ენერგიის საკითხებში, უოლესმა განაცხადა: „ტრუმენი ისე მოქმედებს, რომ ატომის ენერგია გამოყენებულ იქნას არა სამშვიდობო მიზნებისათვის, არამედ ომის მიზნებისათვის. იგი ისე მოქმედებს, რომ ატომური ბომბი გამოყენებულ იქნას, როგორც ომის მუქარა, ჰქმნის რა შიშისა და დაძაბულობის ვითარებას მსოფლიოში, სადაც იმის დიდი იმედი და რწმენა უნდა არსებობდეს, რომ დადგება ხანა, როცა ატომის ენერგიას სამშვიდობო მიზნებისათვის გამოიყენებენ".

შეეხო რა ამერიკის მთავრობის მოთხოვნას ატომის ენერგიის დარგში საიდუმლოობის დაცვის შესახებ, უოლესმა აღნიშნა, რომ ატომის ენერგია საიდუმლო არ არის და რომ ეს საიდუმლოობის ვითარება მიმართულია არა იმისაკენ, რომ ამის შესახებ არაფერი იცოდეს საბჭოთა კავშირმა, არამედ იმისაკენ, რომ „ამერიკელი ხალხი შიშში ჰყავდეთ და წაგვართვან მთელი ის სიკეთე, რის შესაძლებლობასაც ატომის ენერგია იძლევა".

შემდეგ უოლესმა აღნიშნა, რომ საიდუმლოების პოლიტიკა ემსახურება აგრეთვე იაფი ატომის ენერგიის კონკურენციისაგან მათი ინტერესების დაცვას, ვის ხელშიც არის ნავთი, გაზი, ქვანახშირი და ელექტროენერგია, და ხაზგასმით აღნიშნა, რომ ატომის ენერგიის კონტროლის ახლანდელ ორგანოებში სჭარბობენ მონოპოლისტური ინტერესები. „ტრუმენმა,—სთქვა უოლესმა,—ატომის ენერგიისადმი შინაკონტროლის ამერიკულ კომისიაში, აგრეთვე ატომის ენერგიისადმი კონტროლის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიაში დანიშნა ბანკირები და მრეწველები — ისეთი ადამიანები, როგორიც არიან ადმირალი სტრაუსი, ებერშტადტი, ჰენკოკი".

შემდეგ უოლესმა განაცხადა, რომ მონოპოლისტები, რომლებიც ატომის ენერგიას კონტროლს უწევენ შეერთებულ შტატებში, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის საკითხს საკუთარი გეგმების შესანიღბავად იყენებენ. „ისინი რუსეთის წინაშე თავიანთ შიშს გიგანტურ კვამლის ფარდად ხდიან და ცდილობენ მთელი მსოფლიო გახვიონ ამ ფარდაში. ისინი ამ კვამლის ფარდას ამოფარებით თავიანთ კონტროლს აფართოებენ და მოგებას იმრავლებენ... ისინი ამბობენ, რომ რუსეთი ის ქვეყანაა, რომელიც აფართოებს თავის სამფლობელოებს და ჩვენს წინააღმდეგ იძულებას მიმართავს. მაშინ როცა ჩვენ თვითონ ვაფართოებთ ჩვენს საჰაერო ბაზებს მსოფლიოს ყველა ნაწილში და კონგრესში აშკარად ვლაპარაკობთ ატომური ბომბებით რუსეთის ქალაქების დანგრევის შესახებ".

უოლესმა შეერთებულ შტატებსა და სხვა ქვეყნებს მოუწოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეშვეობით მიიღონ გადაწყვეტილება ატომური ბომბისა და მასობრივი მოსპობის ყოველგვარი სხვა იარაღის გამოყენებაზე უარისთქმის შესახებ.

მდგომარეობა პალესტინაში

ნიუ-იორკი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც ასოშიეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ჰაიფიდან იუწყება, პალესტინაში დაზავების გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომისიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ღამით 25 ოქტომბერს ლიბანის ჯარებსა და ისრაელის სახელმწიფოს ჯარებს შორის გაჩაღდა გააფთრებული ბრძოლები პალესტინის მთელი ჩრდილოეთი საზღვრის გასწვრივ.

საბჭოთა ჯარების გაცილება ფხენიანში

ფხენიანი, 26 ოქტომბერი. (საკდესი). ფხენიანის რადიოს ცნობით, 24 ოქტომბერს ქალაქ ფხენიანში გაცილება მოუწყეს საბჭოთა ჯარებს. ი. ბ. სტალინის სახელობის ქუჩა საზეიმოდ იყო მორთული. ყველგან ფრიალებდა საბჭოთა კავშირისა და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ალმები. ქალაქის ყოველი კუთხიდან მცხოვრებნი მოვიდნენ თავიანთი განმათავისუფლებლების —სამშობლოში მიმავალი საბჭოთა ჯარების გასაცილებლად.

სრულ 11 საათზე გაისმა მარშის ხმები და ჯარები დაიძრნენ. შეკრებილნი მხურვალე ტაშისცემით მიესალმებოდნენ საბჭოთა მეომრებს. განუწყვეტლივ გაისმოდა შეძახილები: „გაუმარჯოს საბჭოთა არმიას!", „გაუმარჯოს სტალინს!". მოსახლეობის შეუნელებელ ტაშის გრიალში საბჭოთა მეომრებს მიართვეს ყვავილები.

ფრანგი მაღაროელების ბრძოლა გრძელდება

პარიზი, 25 ოქტომბერი. (საკდესი). ფრანგული პრესა სავსეა იმ რაიონებში მომხდარი ამბებით, რომელთაც მაღაროელთა გაფიცვა მოედო. ამ ცნობებიდან ცხადი ხდება, რომ, მიუხედავად მთავრობის ძალების რეპრესიისა და „ფორს-უვრიერის" ხელმძღვანელობის და „საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციის" ხელმძღვანელობის განუწყვეტელი გამთიშველი მანევრისა, ფრანგ მაღაროელთა ერთობა უფრო განმტკიცდა. მაღაროელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი განაგრძონ გაფიცვა, სანამ მათს მოთხოვნებს მთლიანად არ დააკმაყოფილებენ. ზოგ აუზში გრძელდება შეიარაღებული ძალების იერიში მაღაროელთა წინააღმდეგ. მაგრამ უიარაღო მაღაროელები და მოსახლეობა იგერიებენ პოლიციის, ჟანდარმერიის, ეგრეთწოდებული „რესპუბლიკის უშიშროების რაზმების" შეიარაღებული ძალებისა და არმიის ნაწილების იერიშებს. 23 ოქტომბერს ღამით შეიარაღებული ძალები გენერალ ნორბერტისა და სონისა და ლუარის დეპარტამენტის პრეფექტის მეთაურობით განუწყვეტლივ უტევდნენ შახტ ალუეტს, სადაც რამდენიმე დღის წინათ უიარაღო მაღაროელებმა გააქციეს „რესპუბლიკის უშიშროების რაზმი", ამასთან ხელთ იგდეს 100-ზე მეტი მცველი, მათ შორის რამდენიმე ოფიცერი.

„გენერალმა ნორბერტმა და სონისა და ლუარის დეპარტამენტის პრეფექტმა,—სწერს გაზეთი „ლიბერასიონი", — გადასწყვიტეს მოიპოვონ რევანში იმ დამარცხებისათვის, რაც „რესპუბლიკის უშიშროების რაზმებმა" განიცადეს. შახტ ალუეტის წინააღმდეგ იერიში მომზადებული იყო ყოველგვარი სამხედრო წესის მიხედვით. რათა ხელი შეეშალათ მოსახლეობისათვის ალყაშემორტყმულ მაღაროელთა დახმარებაში, შახტის მისადგომები დაკავებული ჰქონდათ დიდრონ შეიარაღებულ რაზმებს. დემონსტრანტები, რომლებიც შახტის მახლობლად შეიკრიბნენ, პოლიციამ ხელკეტებით გაჰფანტა. შახტში იზოლირებული მაღაროელები თავს ქვით იცავდნენ. განთიადისას შახტზე კიდევ ფრიალებდა მაღაროელთა დროშა".

სხვა გაზეთების ცნობით, შახტ ალუეტის მაღაროელთა წინააღმდეგ განუწყვეტელი იერიშის შემდეგ, რამაც 18 საათს გასტანა, პოლიცია მაინც შეიჭრა შახტში და მის დამცველთა შორის მრავალი დააპატიმრა.

გაზეთი „ლუმანიტე" გადმოგვცემს, რომ შახტ ალუეტის დამცველთა შორის 60 კაცი დაჭრილია. შახტ ალუეტთან ერთად იერიში მიიტანეს აგრეთვე ამავე რაიონის შახტ დარსის წინააღმდეგ.

გაზეთ „ლიბერასიონის" კორესპონდენტი იუწყება, რომ გუშინდელი დღის ბოლოს ბლანზის (სონისა და ლუარის დეპარტამენტი) აუზის 14 შახტიდან კვლავ მაღაროელთა ხელში იყო 11 შახტი.

გაზეთები აღნიშნავენ, რომ შახტ ალუეტის მაღაროელთა წინააღმდეგ იერიშებში, პოლიციის, ჟანდარმებისა და „რესპუბლიკის უშიშროების რაზმების" გარდა, მონაწილეობას იღებდნენ აგრეთვე დე გოლის პარტიის — „ფრანგი ხალხის გაერთიანების"—ადგილობრივი შეიარაღებული ჯგუფები. კომუნისტური პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციის შენობა ქალაქ მონსო-ლე-მინში ალუეტის შახტზე თავდასხმის დროს გარშემორტყმული იყო პოლიციელთაგან.

ნორისა და პა-დე-კალეს დეპარტამენტებში კვლავ იგზავნებიან ახალი შეიარაღებული ძალები. მოზელის დეპარტამენტში, რომელიც გაჭედილია ჯარებით, მასობრივად აპატიმრებენ მუშებს და პროფკავშირულ ხელმძღვანელებს. დაპატიმრებულთა შორის არიან ეროვნული კრების დეპუტატი მოზელის დეპარტამენტისაგან ანა [illegible] და რესპუბლიკის საბჭოს წევრი პიერ მიულერი.

დეპარტამენტებში, რომელთაც გაფიცვა მოედო, ჩადიან ჯარის ახალი ნაწილები, რომლებიც წინათ განლაგებული იყვნენ გერმანიაში.

დღითიდღე სულ უფრო ფართოვდება გაფიცულ მაღაროელებთან მშრომელთა სოლიდარობის მოძრაობა. ლუარის დეპარტამენტის მშრომელები ფირმინის მაღაროელთა დახვრეტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად, აგრეთვე გაფიცულ მაღაროელებთან სოლიდარობის ნიშნად საყოველთაო გაფიცვას აწყობენ. ბევრ ქალაქში მშრომელებმა დაადგინეს მუშაობა შესწყვიტონ მოკლული მაღაროელის დაკრძალვის დროს. ბეზიესა და ტულუზის რკინიგზელები ფირმინის მაღაროელთა დახვრეტის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად 24 საათის გაფიცვას აწყობენ.

რეაქციული და მთავრობის პრესისა და რადიოს ცდა—საზოგადოებრივი აზრის წინაშე დამახინჯებულად დახატონ ამბები, სასტიკ წინააღმდეგობას ხვდება როგორც პროფკავშირული ორგანიზაციების, ისე დემოკრატიული პრესის წარმომადგენელთა მხრივ. „ცილისწამება მაღაროელთა წინააღმდეგ,—სწერს ანდრე კარელი გაზეთ „ლუმანიტეში",—არ სწყდება გაფიცვის დაწყებიდან და უფრო ძლიერდება იმის მიხედვით, რამდენადაც ძლიერდება მეშახტეთა საბრძოლო სულისკვეთება, რამდენადაც მტკიცდება საფრანგეთის ყველა მშრომელთა სოლიდარობა. როცა ჟიულ მოკმა თავისი „რესპუბლიკის უშიშროების რაზმები" შახტების რაიონებში გაგზავნა, მან ეს ჩაიდინა იმ საბაბით, რომ უზრუნველეყო შახტების მოწყობილობისა და მდგომარეობის დაცვა, რაც თითქოს გაფიცულებმა არ უზრუნველჰყვეს. უხეში სიცრუეა. ნამდვილად კი სწორედ იმიტომ, რომ შახტებში გაგზავნეს „რესპუბლიკის უშიშროების რაზმები" მაღაროელთა ფედერაციამ დაადგინა—შეეწყვიტა შახტებისა და მოწყობილობისადმი მეთვალყურეობის ჯგუფების საქმიანობა შეიარაღებული ძალების სრულ გაყვანამდე".

სხვადასხვა გაზეთის კორესპონდენტებმა, რომლებიც ფირმინის მაღაროელთა დახვრეტას დაესწრნენ, პასუხად ოფიციალური განცხადებისა, თითქოს მაღაროელებმა პირველმა აუტეხეს სროლა „რესპუბლიკის უშიშროების რაზმებს", გამოაქვეყნეს ერთობლივი განცხადება, რომლითაც დადასტურებულია, რომ დემონსტრანტებს ერთი ტყვიაც კი არ უსროლიათ და რომ პოლიციელებმა იარაღი გაუფრთხილებლად იხმარეს.

როგორც გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, ლუარის დეპარტამენტის პრეფექტმა გუშინ ღამით გამოიწვია განცხადების ხელისმომწერი ყველა ჟურნალისტი, ცდილობდა უარი ეთქმევინებინა განცხადებაზე და ბრალად სდებდა მათ „საზოგადოებრივი წესრიგის" დარღვევას, მაგრამ ჟურნალისტთაგან არავინ არ დაეთანხმა პრეფექტის ამ სამარცხვინო წინადადებას.

გამთიშველები „ფორს-უვრიერიდან" და „საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციის" ხელმძღვანელობა კვლავ მიმართავენ მანევრს, რაც მიმართულია მაღაროელთა მოძრაობის შესასუსტებლად. „საფრანგეთის ქრისტიან მშრომელთა კონფედერაციის" სამდივნომ წამოაყენა წინადადება, რათა ეკონომიურმა საბჭომ იკისროს შუამავლობა მთავრობასა და მაღაროელთა შორის. „ფორს-უვრიერის" ხელმძღვანელობა, თავის მხრივ, დაჟინებით მოუწოდებს თავის წევრებს შესწყვიტონ გაფიცვა.

შრომის საყოველთაო კონფედერაციაში შემავალ მაღაროელთა ფედერაციის ბიურო ამხილებს გამთიშველთა ამ ცდას.

გამოფენა

ხობი. (საკ. კორ.). პარტიულ კაბინეტსა და რაიონის კლუბ-სამკითხველოებში მოეწყო კომკავშირის ისტორიის ამსახველი მასალების გამოფენა, რომელსაც სისტემატურად ათვალიერებენ მშრომელები.

ეწყობა ლექცია-მოხსენებანი, ფიზკულტურულ-სპორტული საღამოები. 29 ოქტომბერს შესდგება კომკავშირის რაიონული აქტივის საზეიმო სხდომა.

კომკავშირის XXX წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო მწერალთა კლუბში

30 ოქტომბერს, მწერალთა კლუბში (მაჩაბლის ქ. № 13) შესდგება საზეიმო საღამო, მიძღვნილი კომკავშირის XXX წლისთავისადმი.

მოხსენებას „ახალგაზრდა ადამიანის სახე ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში" წაიკითხავს გიორგი ნატროშვილი.

პოეტები წაიკითხავენ კომკავშირისადმი მიძღვნილ საკუთარ ლექსებს.

დასასრულ შესდგება კონცერტი კომკავშირის იუბილესათვის საგანგებოდ შექმნილ ნაწარმოებთაგან.

სტალინირის თეატრის ახალი დადგმები

კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სტალინირის სახელმწიფო თეატრის ოსურმა დასმა 1948-49 წლის სათეატრო სეზონი გახსნა ელ. ბრიტაევის პიესით „ორი და".

თეატრი მიმდინარე სეზონში მაყურებლებს უჩვენებს ახალ დადგმებს—რ. ჩოჩიევის „ჩვენს ქუჩაზე დღესასწაულია", მ. შავლოხოვის „ხანზერიფა", ისაევისა და გალიჩის „თქვენ გიხმობთ ტაიმირი", გ. ესპენსკის „ცხოვრობდა სამი ამხანაგი", ი. სოლოვიოვისა და კ. ვიტკოვიჩის „სიჩუმის დამრღვევნი", უ. შექსპირის „ოტელო", ც. სოლოდარისა და კ. ფინის „დოლარების პრინცესა".

ძველი დადგმებიდან აღდგენილ იქნება მ. შავლოხოვის „სიძე" და „ნართი ბათრაძი", გ. მდივნისა და ა. კიროვის „ახალგაზრდა ადამიანი", დ. თუაევის „ფასას ოცნება" და „ხარზოევა ფატიმა", მოლიერის „ეჭვით ავადმყოფი" და ფრანგული ხალხური კომედია „ადვოკატი პატლენი".

პასუხისმგებელი რედაქტორის
მოადგილე ი. ნატროშვილი

თეატრებში

ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის — 28-X „მთების გული" (7 აბ. 2 წარმ.);

რუსთაველის სახელობის — 28-X „ღალატი" (2 სერ. 2 წარმ.), 29-X „ხევისბერი გოჩა" (6 სერ. 2 წარმ.);

მარჯანიშვილის სახელობის—28-X „გულსუნდა" (24 სერ. 2 წარმ.), 29-X „ცეკვის მასწავლებელი" (16 სერ. 1 წარმ.);

გრიბოედოვის სახელობის — 28-X „ტანია" (4 აბ. 2 წარმ.), 29-X „დიადი ძალა" (8 აბ. 2 წარმ.);

სომხური დრამატული — 28-X „ნამუსი" (3 აბ. 2 წარმ.), 29-X „ოტელო" (11 აბ. 2 წარმ.);

ვ. აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — 28-X „ნათელა" (8, 13, 15, 17, 20 აბ. 1 წარმ.), 29-X „სიმღერის ძალა" (18 აბ. 1 წარმ.);

მოზარდ მაყურებელთა ქართული 28-X „ჩვენი ახალგაზრდობა" (56 აბ., 8 ს.), 29-X „ალმასის საბადოები" (64 აბ., 5 ს.);

კაგანოვიჩის სახელობის მოზარდ მაყურებელთა რუსული — 28-X „თოვლის გუნდა" (81 აბ., 12 ს.), 29-X „როგორ იწრთობოდა ფოლადი" (129 აბ., 6-30 წ.).

მეორე შემოსატანი ყველა აბონემენტისათვის სავალდებულოა.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოსოფიის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოს ღია სხდომაზე ა. წ. 10 ნოემბერს, დღის 2 საათზე, № 86 აუდიტორიაში (მთავარი შენობა, მარის ქ. № 1) ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად **ალექსანდრე პლატონის-ძე კაკულია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„პლეხანოვის ბრძოლა გერმანული რევიზიონიზმის წინააღმდეგ მარქსისტული ფილოსოფიის დასაცავად".**

ოფიციალური ოპონენტები: მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი კ. ბაქრაძე, ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი კ. აჭბარდია.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე ვართან მურადის-ძე გახპარიანმა, მცხოვრებმა გუჯარეთის ქ. № 2, აღძრა საქმე ნუხის ქ. № 9 მცხოვრებ მოქალაქე **არუსიაკა ოგანეზის ასულ გრიგორიანისაგან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის 26 კომისრის რაიონის მე-2 უბნის სახალხო სასამართლო.

მოქალაქე **ილია ნესტორის-ძე ბოლქვაძემ**, მცხოვრებმა ნორიოს აღმართი № 6 აღძრა საქმე ლისის ქ. № 6 მცხოვრებ მოქალაქე **თინათინ ალექსანდრეს ასულ ხოსელიძესთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის I უბნის სახალხო სასამართლო.

მშობლები ანიჩკა და ფილიმონ, დები ქეთევან, ჯულეტა, და ირა შველიძეები, სიძეები გ. ზუმბერიძე და შ. კავილაძე იუწყებიან **თინა ფილიმონის ასულ შველიძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-X ბორჯომში, გორკის, 23.

მუსიკალური ინსტრუმენტების და ავეჯის კომბინატის მუშები და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი იუწყებიან ინჟინერ შალვა კახაძის მამის **მელიტონ დიმიტრის-ძე კახაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 28-X დიდუბეში.

თბილისის სამეცნიერო-საკვლევი ქიმია-ფარმაცევტული ინსტიტუტის თანამშრომლები თანაგრძნობას უცხადებენ ექიმ სამსონ ჩხიკვიშვილს მისი დედის **ანასტასია მარკოზის ასულ ჩხიკვიშვილის** გარდაცვალების გამო.

მეუღლე მინადორა, ძმა ამბროსი ოჯახით, რძალი ანიჩკა, ძმისშვილი პეტრე მებურიშვილები იუწყებიან, რომ 31-X, 3 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ლონგინოზ ბესარიონის-ძე მებურიშვილის** პანაშვიდი.

მეუღლე რაფიელ, შვილები ნოდარ, დოდო ლიპარტელიანები იუწყებიან, რომ 31-X, 2 ს. კუკიის სასაფლაოზე დანიშნულია **ლიდა გერასიმეს ასულ შალამბერიძე-ლიპარტელიანის** პანაშვიდი.

დები ანიკო ქავთარაძე, ვერა და ოლღა წერეთლები, ნენუ მაჭავარიანი, ქეთო ლოლობერიძე, კატო ორჯონიკიძე, დისწულები ნათელა, მანანა, კოტე, თენგიზ და ირაკლი იუწყებიან **ქეთო ლორთქიფანიძე-წერეთლის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 28, 29, 30-X, 8 ს. გამოსვენება 31-X, 2 ს. სანაპიროს, 7.

ვარინკა ესაიაშვილი შვილებით: თამარით, დავითით და ქეთოთი, სიძე სერგო ჩარკვიანი იუწყებიან ძმისწულის და ბიძაშვილის **ვერა (კოკონა) ვლადიმერის ასულ მაჭავარიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 31-X ქუთაისში, გამოსვენება ლენინის ქუჩის I ჩიხი № 1.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 12925